პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი [illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე. ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონი № 8—81. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ხოლო პირველ გვერდზე ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ.; განმეორებითი განცხადების ფასი იკლებს 10% სა... თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 13 ოქტომბერი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 238 (2281)

დღიური

- თეირანში ჩავიდა საბჭ. კავშირის სრულუფ. წარმომადგენელი ამხ. დავთიანი.
- ვენიზელოსი თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობის შესახებ.
- ფეიქართა და ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა შეერთ. შტატებში.
- მაკდონალდი ვენაში ჩავიდა.
- გერმანიის ახალი დირიჟაბლის გადაფრენა ამერიკაში.
- დაიხურა საკავშირო თათბირი საბჭოების გადარჩევის შესახებ.
- გაიხსნა „ავტოდორის" (ავტო-გზა) ყრილობა.

პარტორგანოების გადარჩევა და პარტიული პოლიტიკის მორიგი ამოცანები

პარტიის უდიდეს ორგანიზაციის — მოსკოვის ორგანიზაციის წინაშე სდგას უაღრესად სერიოზული ამოცანა— უჯრედების ბიუროების გადარჩევა. ამ კამპანიის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ დღის წესრიგში დასმულია უჯრედების ბიუროების გადარჩევა, ხოლო შემდეგ სხვა ხელმძღვანელი პარტორგანოების გადარჩევა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში.

გადარჩევის კამპანია იქცევა უდიდეს პოლიტიკურ კამპანიად, რომლის დროსაც უნდა დაისვან და კიდეც დაისმებიან სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საკითხები განვითარების ეხლანდელ საფეხურზე.

ჩვენ გვიხდება სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაჭრა გართულებულ და მრავალმხრივ გამოცვლილ საერთაშორისო და შინაურ პირობებში. აქ შევჩერდებით მხოლოდ უმთავრეს, ძირითად მომენტებზე.

კომინტერნის კონგრესი, რომლის გადაწყვეტილებათა ყურადღებით დამუშავება ამჟამად სწარმოებს ყველა უჯრედში, აღნიშნავს ომის შემდგომი კაპიტალიზმის განვითარების ახალ, მესამე პერიოდს. ეს პერიოდი— რომლის საფუძველსაც შეადგენს საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდა და კაპიტალიზმის ცდები გადასწყვიტოს რეკონსტრუქციის ამოცანები,— ხასიათდება მრავალი ახალი მომენტით, რომელთაგან უმთავრესია სტაბილიზაციით გამოწვეულ წინააღმდეგობათა გამწვავება, წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის, კლასობრივი ბრძოლის ფართო განვითარება და გაღრმავება, რევოლიუციონური ტალღის ახალი აზვირთება, მუშათა კლასის გამემარცხენება და მისი აქტივობის ახალი ზრდა. მდგომარეობის ასეთი გამოცვლა ახალ ამოცანებს აყენებს კომუნისტური პარტიების წინაშე და მოითხოვს ტაქტიკის სათანადოთ შეცვლას.

კომუნისტურმა პარტიებმა სათანადო შემთხვევებში უნდა განაგრძონ ბრძოლა ეგრედწოდებულ „მემარცხენე" ელემენტებთან, მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით ძლიერი იერიში უნდა მიიტანონ „სტაბილიზაციურ" განწყობილებებზე, იმ აშკარა ოპორტიუნისტულ ელემენტებზე, რომლებიც ვერ ხედავენ ახალი სტადიის რევოლიუციის განვითარებაში, რომლებსაც არ ესმით, რომ მთავარი მტერი— მარჯვნიდანაა, რომ კომუნისტური პარტიების პრაქტიკული მუშაობა მიმართული უნდა იყოს სოციალ- დემოკრატიის წინააღმდეგ. ახალი პერიოდი ახალ ტაქტიკას მოითხოვს.

ჩვენი ქვეყნის შემდგომი სოციალისტური მშენებლობის ამოცანები არ შეიძლება მოვწყვიტოთ, ჩამოვაშოროთ შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობის პირობებს. სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მუშათა კლასის საერთაშორისო ბრძოლის პირობებში მომხდარმა ცვლილებებმა არ შეიძლება გავლენა არ იქონიონ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ამოცანებსა და პრაქტიკულ ბრძოლაზე,— და პირიქით.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობა განვითარების ეხლანდელ საფეხურზე მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების უაღრესად რთულ პირობებში. სისტემატიური, გეგმაშეწონილი სოციალისტური შეტევა, რომლისკენაც მოგვიწოდებდა და რომელსაც აწყობდა თავისი დადგენილებით პარტიის მე-15 ყრილობა, სწარმოებს წინააღმდეგობებით აღსავსე პირობებში. გასულ სამეურნეო წელს ადგილი ჰქონდა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების სერიოზულ ცდას გამოესწორებიათ თავიანთი მდგომარეობა და ჩაეშალათ ფასების საბჭოთა პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ არ შევჩერებულვართ სოციალისტური შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალშიაც არ შევაჩერებთ მას. ჩვენ მომავალშიაც გავატარებთ, როგორც ნათქვამია ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებში „ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, რომელსაც უკარნახებს პროლეტარულ სახელმწიფოს მთელი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა", და გადაჭრით უკუვაგდებთ ყოველ ცდას, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ, რომ გადაიხრას ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა დღევანდელი დღის სამეურნეო დაბრკოლებათა გავლენით.

პარტია შეასრულებს ამ რთულ ამოცანებს და წარმატებით წაიყვანს წინ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება სავსებით გარკვეული პოლიტიკური ხაზი, თუ მისი რიგები იქნებიან იდეურად სავსებით მტკიცე და შეკავშირებულნი. წვრილ ბურჟუაზიული სტიქია, მით უმეტეს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, აუცილებლად ახდენს ერთგვარ ზეგავლენას ჩვენი პარტიის ცალკე ფენებზე, ცალკე ელემენტებზე. ბოლშევიკები ყოველთვის და ყოველ პირობაში ვალდებულნი არიან გამოააშკარაონ და კიდეც ააშკარავებენ „მემარცხენე" ფრაზას, როგორც ოპორტიუნიზმის ერთ-ერთ სახეობას. მაგრამ სისტემატიური სოციალისტური შეტევის (რომელიც მე-15 ყრილობამ ჩამოაყალიბა) პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აშკარა ოპორტიუნისტულ ზრახვებს, იმ ელემენტებს პარტიაში, რომელნიც აფუჩეჩებენ კლასობრივ ბრძოლას, არ სურთ აწყენინონ კულაკს და სცდილობენ უკან დაახევინონ პარტიას მე-15 ყრილობის მიერ წამოყენებული ახალი ამოცანებიდან.

ამ დღეებში დამთავრდა მოსკოვის ორგანიზაციის რაიონის აქტივების კრებები, რომლებზედაც ირჩეოდა მოსკოვის კომიტეტის პლენუმის შედეგები და რომლებზედაც დასახულ იქნენ უახლოესი ამოცანები. რაიონული აქტივების რეზოლიუციები მოსკოვის ორგანიზაციისათვის წარმოადგენენ ერთგვარ გარდატეხას, ნაბიჯის გადადგმას წინ პარტიის პოლიტიკური ხაზის განვითარების საქმეში. აქტივების რეზოლიუციებში საკმაოდ გარკვეულად აღნიშნულია ორ ფრონტზე ბრძოლის საჭიროება. განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩვენი პარტიის ცალკე ფენების, ცალკე ელემენტების აშკარა ოპორტუნისტული მერყეობისა და ამ მერყეობისადმი ლმობიერი დამოკიდებულების საფრთხე. სოკოლნიკის რაიონის აქტივის რეზოლიუციაში ნათქვამია,რომ „სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ საფეხურზე ჩვენს პოლიტიკაში ლენინური ხაზის გატარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს შეუსუსტებელი და სისტემატიური ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან და ამ საფრთხისადმი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან. ჩვენს პირობებში ეს ნიშნავს ბრძოლას ორ ფრონტზე— როგორც ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც მემარცხენე ფრაზებით ფარავენ თავის მემარჯვენე სახეს, ისე აშკარა ოპორტიუნისტული ელემენტების წინააღმდეგაც".

იგივეა ნათქვამი სხვა რაიონების რეზოლიუციებშიაც.*)

რაიონული აქტივების ამ გადაწყვეტილებებში მოცემულია პარტიული მუშაობის ძირითადი ხაზი მე-15 ყრილობის და შემდგომი საერთო პარტიული გადაწყვეტილებების მიხედვით. პარტიის წევრებმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დაისახონ იმის გარკვევა და შემოწმება, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში მე-15 ყრილობისა და შემდგომი პლენუმების დირექტივები.

საჭიროა მივაპყროთ პარტიის წევრთა ყურადღება მორიგ ამოცანებზე მეურნეობის დარგში. შეუსუსტებლად უნდა ვადევნოთ თვალყური წარმოების შემდგომი განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების და საერთოდ სოციალისტური რაციონალიზაციის გატარების საკითხებს. აგრეთვე შეუსუსტებლად უნდა ვადევნოთ თვალყური მუშათა ყოფა- ცხოვრების სისტემატიურად გაუმჯობესების, შრომის დაცვის გაუმჯობესების და სხვ. ამოცანებს. ყოველ მხრივ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება მუშებისადმი, მათი ყოველდღიური საჭიროებისადმი.

გადარჩევის კამპანია უნდა ჩატარდეს თვითკრიტიკის შემდგომი გადამჭრელი გაშლის, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლისა და განმტკიცების ნიშან ქვეშ. უნდა აღინიშნოს,რომ მრავალ შემთხვევაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომ ზევიდან ხელს უშლიან კრიტიკის გაშლას, ხოლო დაბალ ფენებს ეშინიათ აშკარად გამოსთქვან თავისი აზრი, ეშინიათ გააკრიტიკონ არჩეული ორგანოები. ეხლანდელმა გადარჩევის კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ამ მოვლენათა გადაჭრით დაძლევას. მან ხელი უნდა შეუწყოს პარტიის წევრთა თვითმოქმედების შემდგომ განვითარებას. მან უნდა გამოიწვიოს პარტიის წევრთა უფრო და უფრო სრული ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის მორიგი პრობლემების განხილვაში, უჯრედების ბიუროების მუშაობის კრიტიკული შემოწმების გაღრმავება, მშენებლობის ამოცანების ყურადღებით დასახვა. ეხლანდელი კამპანია უნდა გადაიქცეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ბერკეტად— შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გადამჭრელი განვითარებისათვის.

გადარჩევის კამპანიის წინაშე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები დგანან. რაიონულმა აქტივებმა განავითარეს პარტიის ხაზი მიმდინარე პერიოდის ძირითად საკითხებზე. ბიუროების გადარჩევს დროს ეს განვითარებული ხაზი უნდა განმტკიცდეს. ბიუროების საანგარიშო მოხსენებები ვიწრო--ფორმალურ ხასიათს კი არ უნდა ატარებდნენ, არამედ პოლიტიკურ ხასიათს, ამ მოხსენებებში ყველა საკითხი პარტიის ძირითად ხაზთან და ძირითად ამოცანებთან უნდა იქნეს დაკავშირებული. ბიუროების მუშაობის განხილვა უნდა ჩატარდეს სწორედ ამ თვალსაზრისით, პარტიის საერთო ხაზთან, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ საერთო ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებით.

პროლეტარული თვითკრიტიკის სისტემატიური გაშლა სრულებითაც არ ნიშნავს ლმობიერ დამოკიდებულებას ჩვენი ბოლშევიკური ხაზიდან რაიმე გადახრებისადმი. ბოლშევიკებმა დაიმსახურეს საპატიო სახელწოდება „შეურიგებლებისა" ოპორტუნიზმის მიმართ და ამ თავის პრინციპიალურ ხაზს, რომელიც მოასწავებს ლენინური მოძღვრების მედგარ და სისტემატიურ დაცვას ყოველგვარი გადამახინჯებისაგან, ისინი შემდეგშიაც გაატარებენ.

უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანია უნდა ჩატარდეს მშენებლობის მორიგი ამოცანების ფართოდ დასმისა და ფართოდ განხილვის, მე-15 ყრილობისა და შემდგომი პლენუმების საერთო დირექტივების განხორციელების შემოწმების, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლისა და განმტკიცების და თვითკრიტიკის გაშლის ნიშან ქვეშ, მრავალრიცხოვან დეფექტების, გადამახინჯების და ბიუროკრატიზმის ელემენტების უფრო სწრაფად და ენერგიულად დაძლევის მიზნით. ამრიგად ჩატარების პირობებში უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანია გადაიქცევა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიად, რომლის შედეგადაც ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს რიგებს და წინ წავალთ სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ამრიგად ჩატარებული კამპანიის შედეგად ჩვენ ავსწევთ და განვამტკიცებთ პარტიული უჯრედებისა და საერთოდ პარტიის ავტორიტეტს უპარტიო მუშათა და მუშა-ქალთა მასის თვალში და კიდევ უფრო შევაკავშირებთ პარტიის ირგვლივ მუშებისა და მშრომელი ხალხის უფართოეს მასებს.

მუშათა კლასი გლეხობის უფართოეს მასებთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით გაათკეცებული ენერგიით შეუდგება მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაჭრას და კიდეც გადასჭრის მათ, ამ ამოცანების უდიდესი სიძნელისა და სირთულის მიუხედავად, მტრების გაფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად.

ბიუროების გადარჩევის კამპანიის მსვლელობაში და ამ კამპანიის შედეგად ჩვენ უნდა მივაღწიოთ მთელი პარტიის კიდევ უფრო ძლიერ მობილიზაციას მისი პრინციპიალური ხაზისა და მისი ძირითადი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

სიძნელენი დიდია. დაბრკოლებები მნიშვნელოვანი. მაგრამ პარტიის დარაზმვით ძირითადი პრინციპიალური გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩვენ დავსძლევთ ამ სიძნელეებს და წინ წავსწევთ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. პარტიის მობილიზაციით ჩვენ წარმატებით ჩავატარებთ საბჭოების გადარჩევის უაღრესად საპასუხისმგებლო პოლიტიკურ კამპანიას, რომელიც უახლოეს დროში უნდა ჩატარდეს, და კიდევ უფრო ძლიერ, უფრო მჭიდროდ შევაკავშირებთ მშრომელთა მასებს პროლეტარიატის დიქტატურის გარშემო.

„პრავდა".

*) ზოგიერთი მათგანი მოთავსებულია „კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომერში. რედ.

გაიხსნა ინგლისის ლიბერალური პარტიის ყრილობა

ლიბერალები „მუშათა" პარტიას უსაყვედურებენ არა საკმაო სიმტკიცეს მთავრობასთან ბრძოლაში

პოლონელ სოციალ. პარტია გათიშვის წინ.—„რაბოტნიკ"-ის და „პშედსვიტ"-ის პოლემიკა

ინგლისის სავაჭრო წრეები შეშფიქრებული არიან საგარეო ვაჭრობის შემცირების გამო

გაფიცვების ტალღა

საფრანგეთში

კიდევ ორი ფაბრიკა

პარიზი, 11 ოქტომბერი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, ჩრდილოეთ- საფრანგეთში ფეიქართა გაფიცვას შეუერთდა ლილის ორი ფაბრიკის 1.400 მუშა. (ადს)

შეერთ. შტატებში

ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. ნიუ-იორკში გაიფიცნენ სატრანსპორტო კომპანიის „ამერიკენ რეილვეი ექსპრეს"-ის მუშა- მოსამსახურენი. სულ გაფიცულია 15.000 კაცი. ნიუ-იორკის ნავთსადგურში გემების დატვირთვა შესწყდა. კომპანია ყოველდღიურად ტვირთავდა 700 საბარგო ვაგონს. ამჟამად კომპანიამ შესწყვიტა ნიუ-იორკში გასაგზავნი ტვირთების გადატვირთვა. ნიუ-იორკის ნავთსადგურში აწყვია დიძალი მალე გასაფუჭებელი საქონელი. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და რკინის-გზის მუშათა ახალი კავშირის ცნობას. ეს კავშირი არ შედის ამერიკის შრომის ფედერაციაში. გაფიცვა გამოცხადდა ფედერაციის თანხმობის გარეშე. (ადს.).

აბრეშუმის სართავი ფაბრიკის მუშების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. ნიუ-ჯერსში გაიფიცა პატერსონის აბრეშუმის სართავი ფაბრიკის 4.000 მუშა. გაფიცულნი მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის 10 პროცენტით გადიდებას და პროფკავშირის ცნობას. (ადს)

პოლონელ მენშევიკების პარტია გათიშვის წინ

ვარშავა, 11 ოქტომბერი. პოლიტიკურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაზეთ „პშედსვიტ"-ის („რიჟრაჟი"-ს) პირველი ნომრის გამოსვლამ. გაზეთს სცემს მორაჩევსკის ჯგუფი. (მორაჩევსკი — პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყოფილი ბელადია. ამჟამად საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი და პილსუდსკისთან თანამშრომლობის მომხრე). გაზეთის პირველი ნომერი რამდენსამე საათში დაიტაცეს. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ოფიციალური ორგანო „რობოტნიკ"-ი გაზეთს მკვახე წერილით შეხვდა. გაზეთი ბრალსა სდებს მორაჩევსკის, რომ მან, როგორც მთავრობის წევრმა, ხელი მოაწერა დეკრეტს პრესის შესახებ და კონფისკაცია უყო მუშათა პრესას. გაზეთი გადაკვრით აღნიშნავს, რომ ახალი გაზეთი მთავრობის სუბსიდიას იღებს.

თავის საპასუხო წერილში „პშედსვიტ"-ი დემონსტრატიულად აცხადებს, რომ იგი წარმოიშვა პილსუდსკის მომხრეთა ზეგავლენით და რომ მორაჩევსკის ჯგუფს უფრო მეტი უფლება აქვს პოლონეთის სოციალისტურ პარტიაზე, ვიდრე პარტიის დღევანდელ ხელმძღვანელებს. „რობოტნიკ"-ის შეკითხვაზე, თუ ვინ აძლევს გაზეთს სასარს, „პშედსვიტ"-ი სწერს:

„იმის სახლში, ვისაც თავი თოკით ჩამოუხრჩვია, თოკზე ლაპარაკი მიღებული არ არის. ცნობილია, რომ „რაბოტნიკ"-ი დეფიციტიანი გაზეთია და ეს დეფიციტი იფარება მთავრობის განცხადებებით და იმ შემოსავლით, რომელსაც იძლევა პოლონეთის სოციალისტური პარტიის სტამბაში მთავრობის გაზეთების ბეჭდვა".

შეხლა-შემოხლა „პშედსვიტ"-სა და „რობონტიკ"-ს შორის იმის მაჩვენებელია, რომ ბრძოლამ პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში გადამწყვეტ საფეხურს მიაღწია. ელიან, რომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში გათიშვა მოხდება. (ადს).

ინგლისის საგარეო ვაჭრობის შემცირება

ლონდონი, 11 ოქტომბერი. ინგლისის საგარეო ვაჭრობა სექტემბერში საგრძნობლად შემცირდა. 1927 წლის სექტემბერთან შედარებით, იმპორტი შემცირდა დაახლოვებით 14 მილიონი გირვანქა სტერლინგით, ექსპორტი—4 მილიონი გირვანქა სტერლინგით. საგარეო ვაჭრობის შემცირება დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ლონდონის სავაჭრო წრეებში. (ადს).

ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ

ბერლინი, 12 ოქტომბერი. ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ საყოველთაო კენჭის ყრის გამტარებელმა სრულიად გერმანიის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ბერლინისა და მის მიდამოების მშრომელთ.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ხელი მოაწერა 100.000 კაცმა, 800.000 კაცის ნაცვლად. ამ სიმცირის მოწოდება ხსნის ხელისუფლების საბოტაჟით და მთელი (დაწყებული ნაციონალისტების და გათავებული სოციალ- დემოკრატების) პრესის დუმილით.

12 ოქტომბერს დილით ბერლინის ყველა რაიონში გაიმართა დემონსტრაციები. 16 ოქტომბერი ხელის მოწერის უკანასკნელი დღეა. (ადს)

ინგლისის ლიბერალური პარტიის ყრილობა

იარმუტი, 11 ოქტომბერი. გაიხსნა ინგლისის ლიბერალური პარტიის ყრილობა. ყრილობას ესწრება ათასი დეპუტატი.

ყრილობაზე ლოიდ-ჯორჯი წარმოსთქვამს სიტყვას, რომელშიაც შეეხება ლიბერალური პარტიის სხვა პარტიებთან თანამშრომლობის საკითხს. (ადს)

იარმუტი, 11 ოქტომბერი. ლიბერალური პარტიის ყრილობას ესწრება დაახლოებით 1.000 დელეგატი. ყრილობის მიზანია მომავალი არჩევნებისათვის მზადება.

აღმასკომმა შეიტანა 17 რეზოლიუცია, რომელიც საარჩევნო პლატფორმის ერთგვარ პროექტს წარმოადგენენ. ყრილობამ მოიწონა ორი პირველი რეზოლიუცია.

პირველი რეზოლიუცია წარმოადგენს ბოლდუინის მთავრობის კრიტიკას. რეზოლიუციაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ შუბლმაგართა მთავრობა ერთად ერთი მთავრობაა ევროპაში, რომელმაც ომის შემდეგ შეირაღების ხარჯები გაადიდა. შემდეგ ლაპარაკია მთავრობის უვარგისი საფინანსო პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მისი მოქმედება საფრთხეში აგდებს თავისუფალი ვაჭრობის არსებობას. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ბოლდუინის მთავრობამ არაფერი გააკეთა უმუშევრობის შესამცირებლად, სამაგიეროდ 28 მილიონი გირვანქა სტერლინგი წყალში გადაჰყარა, როცა სუბსიდია მისცა მაღაროების პატრონებს.

მეორე რეზოლიუციაში ლაპარაკია მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ. რეზოლიუცია უსაყვედურებს მუშათა პარტიას, რომ იგი საკმაო აქტივობას არ იჩენდა, როგორც ოპოზიციონური პარტია და რომ მის წრეებში მთლიანობა არ არსებობს. რეზოლიუცია აბასიათებს მუშათა პარტიის საარჩევნო პლატფორმას, როგორც დოკუმენტს, რომელიც შეიცავს „ლიბერალური პარტიისაგან დაუკითხავად ნასესხებ" წინადადებებს. (ადს)

საბერძნეთ-სამხრეთსლავიის მოლაპარაკება

ვენიზელოსის განცხადება

ვენა, 11 ოქტომბერი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, საბერძნეთის პრემიერმა ვენიზელოსმა, რომელიც ამ ჟამად ბელგრადში იმყოფება, უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან გამართულ საუბარში, განაცხადა, რომ მოლაპარაკება სამხრეთ- სლავიასთან ხელშეკრულების დადების შესახებ წარმატებით დამთავრდაო. ვენიზელოსმა აღნიშნა, რომ საბერძნეთსა და სამხრეთ- სლავიას შორის არ არსებობს არავითარი სამხედრო ვალდებულება ურთიერთის მიმართ. რაც შეეხება შეთანხმებას თურქებთან, მას ვენიზელოსის სიტყვით, წინ ელობებიან სერიოზული დაბრკოლებანი: არ არის მოწესრიგებული ლტოლვილთა საკითხი, რომელიც მრავალი ხალხის ბედ-იღბალს ეხებაო. (ადს)

საბჭ. სრულუფ. წარმომადგენელი ჩავიდა სპარსეთში

თეირანი, 11 ოქტომბერი. თეირანში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში დავთიანი. სპარსეთის პრესა განაგრძობს კამპანიას ინგლისის საკონცესიო საზოგადოების „სამხრეთის ნავთის" წინააღმდეგ და მოითხოვს, საკონცესიო ხელშეკრულების გადასინჯვას, ვინაიდან ეს ხელშეკრულება საზარალოდ მიაჩნია სპარსეთისათვის. (ადს).

საეკლესიო კანონპროექტი საფრანგეთში

პარიზი, 11 ოქტომბერი. როგორც ჩანს, მთავრობის რეაქციონური კანონპროექტი კონგრეგაციების (საეკლესიო თემების) შესახებ გადაიქცევა შინაგანი პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად.

ეკლესიის უფლებების აღდგენის პროექტი შედგენილია 1928—29 წლის საფინანსო კანონპროექტის დამატებითი მუხლების სახით. ამ მუხლებით გათვალისწინებულია შემდეგი ზომები: მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც ადრე ეკლესიას ეკუთვნოდა და ჯერ კიდევ არავისთვის არ არის გადაცემული, უბრუნდება რელიგიურ თემებს. საზღვარგარეთ მომუშავე გამანათლებელ და ქველმოქმედ რელიგიურ კონგრეგაციებს ნება ეძლევათ გახსნან და შეინახონ საფრანგეთში მისიონერთა მოსამზადებელი დაწესებულებანი.

მემარჯვენე გაზეთები არ ფარავენ თავიანთ სიხარულს ეკლესიის მიმდევართა გამარჯვების გამო. „ეკო დე პარი" სწერს: „გაღადმდგმულია პირველი დიდი ნაბიჯი ისტორიული შეცდომის გასასწორებლად" (მხედველობაში აქვთ 1901 წ. კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების შესახებ).

მემარცხენე ბურჟუაზიული „ერნუველ" და „კოტიდიენ"-ი აცხადებენ, რომ რადიკალები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებიან იმ პროექტს, რომელიც ფაქტიურად აღადგენს ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების კანონით გაუქმებულ კონგრეგაციებს (ადს).

ამერიკელ ჟურნალისტ ხორენის საქმე

პარიზი, 11 ოქტომბერი. საფრანგეთის პრესა კვლავ ეხება ამერიკელი კორესპონდენტის ხორენის საქმეს. როგორც ვიცით, ხორენს ბრალდება ბერტელოს საიდუმლო ცირკულიარის შინაარსის გადაცემა თავის სააგენტოსათვის. ინგლის- ამერიკის ჟურნალისტების წარმომადგენელმა პარიზში ბერდმა ტელეგრაფით მიმართა ბრიანს. პუანკარე ამ საკითხის შესახებ ესაუბრა ბერტელოს, რის შემდეგაც მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ხორენი დარჩება პარიზში, როგორც მოწმე, საქმის გამოძიების დამთავრებამდეო. ამასთან დაკავშირებით იუწყებიან, რომ ამერიკელი ჟურნალისტები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმისაგან. „ავენირ"-ი უადგილოდ სთვლის ამერიკელი ჟურნალისტის გამოსვლას ხორენის დასაცავად და ხაზს უსვამს იმას, რომ „ხორენის გაძევება საფრანგეთიდან მხოლოდ გადაიდო და არა გაუქმდაო".

მრავალი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმე უმთავრესად ეხება არა ამერიკელ ჟურნალისტს, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მოხელეს, რომელმაც გადასცა ან მიჰყიდა დოკუმენტი ჟურნალისტს.

ჰავასის სააგენტოს სიტყვით, ხორენი არ გამოცხადდა პოლიციის პრეფექტურაში, როდესაც უკანასკნელმა იგი დასაკითხავად დაიბარა. იუწყებიან, რომ ხორენი ბელგიაში წავიდა, საიდანაც ანტვერპენით ინგლისში გაემგზავრებაო. გაზეთ „ტან"-ის ცნობებით, პოლიციის სამმართველომ ინსტრუქციები დაუგზავნა სანაპირო პუნქტებსა და ნავთსადგურებს— დააკავონ ხორენი, არ გაუშვან საფრანგეთიდან და დააბრუნონ პარიზში.

ინგლის- ამერიკის ჟურნალისტების გაერთიანების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხორენის უეცარი გამგზავრება შეიძლება ჩაითვალოს იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ხორენი რამდენადმე პასუხისმგებლად სთვლის თავის თავს იმ მოქმედებისათვის, რომელსაც მას აბრალებენო. (ადს)

ტომასის და მონდის ერთიანი ფრონტი

ლონდონი, 11 ოქტომბერი. კანადაში ამჟამად იმყოფებიან ალფრედ მონდი და ტომასი, რომელნიც მხარს უჭერენ „ზავს მრეწველობაში". ფორმალურად ისინი მხოლოდ შვებულებაში იმყოფებიან, ნამდვილად კი პრესის აზრით, ისინი იკვლევენ იმას, თუ რამდენად შეიძლება განხორციელება ბოლდუინის პროექტისა კანადაში უმუშევართა გადასახლების შესახებ. ამბობენ, თითქოს მაკდონალდს ამას წინად განეცხადებიოს, რომ მუშათა პარტია ბოლდუინის პროექტის წინააღმდეგი არ იქნებაო.

პრესა აღნიშნავს დიდ მეგობრობას ტომასსა და მონდს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ეკუთვნის კონსერვატიულ, ხოლო მეორე მუშათა პარტიას. ასე, მაგალითად, ტომასის ვაჟის ქორწილში, რომელიც ამას წინად მოხდა, სხვა სტუმრებს შორის იყვნენ ალფრედ მონდი, მისი ცოლი და ვაჟი. (ადს)

ბოლდუინი სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ

ლონდონი, 11 ოქტომბერი. როგორც რეიტერი იუწყება, ბოლდუინმა შეფილდში განაცხადა: „იმ ხალხს, რომელიც მრეწველობაში მუშაობენ კარგად ესმის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საკუთარი ძალებით ვერც ერთი მთავრობა ვერ შესძლებს მრეწველობის აყვავებას. ის წარმოება, რომელიც დღემდე თან ახლდა მუშებისა და დამქირავებლების თათბირებს, იმედს გვაძლევს, რომ ჩვენ ვდგავართ თანამშრომლობის სრულიად ახალი ეტაპის წინაშე. ტრედ-იუნიონების ხელმძღვანელები გრძნობენ ამჟამად, თუ რამდენად საშიშია მრეწველობაში ომიანობის პოლიტიკა არა მარტო ხელმწიფოებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვის ინტერესებსაც იცავენ ისინი. მეორე მხრით, დამქირავებულებიც არ უნდა ივიწყებდენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ აწევთ. (ადს).

მწარმოებლები ლოკაუტს ამზადებენ

ბერლინი, 11 ოქტომბერი. რეინ—ვესტფალის მძიმე მრეწველობის კავშირმა დაადგინა, ლოკაუტი გამოუცხადოს თავის წარმოებების ყველა მუშას იმის გამო, რომ პროფკავშირებმა მოითხოვეს სამუშაო ხელფასის გადიდება. ლოკაუტი მოელის 230.000 მუშას. ამასთან ერთად გერმანიის საფეიქრო მრეწველობის დამქირავებელთა კავშირმა მიუნხენ- გლადბახის საფეიქრო მრეწველთათვის ხელის შეწყობის მიზნით, დაადგინა— ლოკაუტი გამოუცხადოს რეინ-ვესტფალის საფეიქრო მრეწველობის 190.000 მუშას. (ადს.).

ჩინეთის რევოლიუციის 17 წლის თავი

პეკინი, 11 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს იდღესასწაულეს რევოლიუციონური ჯარის იმ აჯანყების (უჩანში) მე-17 წლის თავი, რომელიც ჩინეთის რევოლიუციის დასაწყისად ითვლება. ამ დღეს რევოლიუციონურმა ჯარმა უჩანში დაამარცხეს ის რაზმები, რომლებიც მანჯურიის დინასტიის ერთგულნი დარჩნენ. (ადს)

კოვალსკის საქმე

ვარშავა, 11 ოქტომბერი. პლოცკში დამთავრდა კათოლიკეთა მთავარეპისკოპოსის კოვალსკის საქმე. კოვალსკის ბრალდებოდა ზნეობის შემლახველი დანაშაულის ჩადენა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კოვალსკი და, ამნისტიის შეფარდების შემდეგ, მიუსაჯა გამასწორებელ სახლში პატიმრობა ორი წლითა და რვა თვით. კოვალსკიმ საწინდარი შეიტანა და იგი დროებით თავისუფალია. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კაპიტალისტები ემზადებიან ლოკაუტისათვის

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გამმა იტყობინება შემდეგს:

ეკონომიური კრიზისი გერმანიის საფეიქრო მრეწველობაში თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. წარმოებათა მეპატრონეები ემზადებიან ლოკაუტისათვის. ქალაქ დიუსელდორფში შესდგა საფეიქრო მრეწველობის მეპატრონეთა თათბირი, სადაც ირჩეოდა საკითხი ლოკაუტის გამოცხადების შესახებ მთელი რეინის ოლქის და ვესტფალიის საფეიქრო მრეწველობაში.

თუ მწარმოებლების განზრახვა განხორციელდა, უსაქმოდ დარჩება 20.000 მუშა.

ყოველგვარი ცდა უშედეგოთ დამთავრდა

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია-"ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი გადმოგვცემს:

გაფიცულ საფეიქრო მრეწველობის მუშათა ორგანიზაციებმა დაადგინეს უფრო მწვავე ხასიათი მისცენ გაფიცვას. თავიანთი დადგენილება გაფიცულებმა კიდევაც განახორციელეს. ყველა ფაბრიკებიდან მოხსნილია მთელი ტეხნიკური პერსონალი, გაუქმებულია ტეხნიკური ზედამხედველობა, აღარ მუშაობენ მემანქანეები, გამხურებლები და სხვები. ფაბრიკები უთვალყუროთ არის მიტოვებული.

გაზეთი „კურიერ ჩერვონი" ეხება შექმნილ მდგომარეობას და სწერს, რომ ყოველგვარი ცდა, გაფიცვის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის, უშედეგოთ დამთავრდა.

40 მილიონი საირიგაციო მუშაობისათვის

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა წყალთა მეურნეობის საკონტროლო ციფრები ახალ სამეურნეო წლისათვის. შუა აზიის ირიგაციამ მომავალ წელში უნდა მოგვცეს 126 ათასი ჰექტარი ბამბის ნათესი.

ამიერ-კავკასიის წყალთა სადგურის გეგმა ცნობილ იქნა არარეალურად, რადგან განზრახული დიდი საირიგაციო სამუშაოების შესრულება მოგვცემს მხოლოდ 25.600 ჰექტარს. ამიტომ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საირიგაციო ხარჯების თანხა პირობით განსაზღვრა შუა აზიასა და ამიერ კავკასიისათვის 40 მილიონი მანეთით. შემდეგ კი უფრო დაწვრილებით მოხდება ამ თანხის განაწილება ორ აღნიშნულ რაიონებს შორის.

თავად-აზნაურობის გავლენის წინააღმდეგ

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საბჭოთა მომავალ არჩევნების საკითხების განსახილველად მოწვეულ სრულიად საკავშირო თათბირზე, სხვათა შორის, გამოვიდა საქართველოს დელეგატი ამხ. უზნაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ბრძოლა ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ საქართველოს სოფლებში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ განვითარებული.

ორატორის სიტყვით, ქართულ სოფელში უკანასკნელ დრომდე დიდია თავად - აზნაურობის იდეოლოგიური და ეკონომიური გავლენა. მომავალ არჩევნების დროს, ამბობს ამხ. უზნაძე, ამ გარემოებას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს. არ უნდა იქნას მიფუჩეჩებული არა მარტო კულაკის, არამედ თავადაზნაურობის ანტი-საბჭოთა როლიც.

მასალების დამზადება მეტროპოლიტენისათვის

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ამ დღეებში იწყება მოსკოვის მეტროპოლიტენის სამშენებლო მასალის დამზადება. ამ მიზნით ახალ სამუშაოებზე გამოყენებული იქნება 2.000 კაცი.

კონსერვატიული პარტიის ყრილობა

(წერილი ინგლისიდან)

არც უმუშევრობის შემაშფოთებელი პრობლემა, არც მემაღაროების სასოწარკვეთილი მდგომარეობა, როგორც ჩანს, ოდნავადაც არ აწუხებს კონსერვატიულ პარტიას. მის უმთავრეს საზრუნავს საგანს შეადგენს ინგლისის ბურჟუაზიის მდგომარეობის გაძლიერება და განმტკიცება. ამ თვალსაზრისით კი ამ წუთში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა იმ საყოველთაო არჩევნებისთვის მომზადება, რომელიც მომავალი წლის ივნისში უნდა მოხდეს.

2700 ლორდმა, ლედიმ და მსხვილმა ბურჟუამ, რომელნიც აკვარიუმში შეიკრიბნენ, ვერავითარი ნამდვილი საზავო პირობები ვერ შეიმუშავეს (ისევე როგორც ვერ შეიმუშავა ბოლდუინმაც) 1.300.000 უმუშევართან მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ. უმუშევრობის პრობლემა მიჩქმალულ იქნა კამაში, ან უკეთ ვსთქვათ, მას გაკვრით შეეხნენ, რათა გამოეყენებიათ როგორც საბაბი პროტექციონისტული პოლიტიკის გაძლიერებისა და სადგილმამულო გადასახადის რეფორმისა, რომელმაც სარგებლობა უნდა მისცეს მხოლოდ მრეწველებს, რკინის-გზის საზოგადოებებს და მსხვილ მიწათმფლობელებს.

ჯანმრთელობის მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა სადგილმამულო გადასახადის პროექტზე, რომელიც „ღარიბ- ღატაკთა კანონის" რეფორმასთან არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი შეიცავს იმ ზომებს, რომლითაც კონსერვატიული მთავრობა ფიქრობს უმუშევრობაზე იერიშის მიტანას. სადგილმამულო გადასახადის რეფორმა გამოიხატება მეურნეობის და მრეწველობის განტვირთვაში დაბეგვრის მხრით, რაც განსაკუთრებით მრეწველებისა, ფინანსისტებისა და აქციების პატრონებისთვის არის სასარგებლო. იმის მტკიცება, რომ ამ რეფორმას გავლენა ექნება უმუშევრობაზე, წარმოადგენს არა მარტო გულუბრყვილო ილიუზიას, არამედ წინასწარ მოსაზრებულ ფარისევლობას, რაც შეეხება ღარიბ- ღატაკთა კანონის რეფორმას, მისი საბოლოო მიზანია ამ კანონის სრული გაუქმება. ხოლო სანამ ეს მოხდებოდეს, ნევილ ჩემბერლენის პროექტით ადგილობრივ ორგანოებს, რომელიც ალაგ-ალაგ ბევრათ უფრო პროგრესიულია, ვიდრე ცენტრის მთავრობა, უნდა ჩამოერთვას საქველმოქმედო თანხების გამგებლობა.

ამ ორ ღონისძიებას სრულიად გარკვეული მიზანი აქვს: ბურჟუაზიის მდგომარეობის განმტკიცება მისი განტვირთვით ერთი მხრით და მის ხელში საქველმოქმედო თანხების გადაცემით მეორე მხრით; ეს კი, როგორც უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაამტკიცა, ღარიბ- ღატაკთა მდგომარეობის გაუარესებას ნიშნავს.

მსხვილმა ბურჟუებმა, რომელნიც ყრილობას დაესწრნენ მშვენივრად გაიგეს ამ რეფორმების ფარული აზრი. ერთხმულოვნად მიიღეს ეს პროექტები. და ჩემბერლენის განცხადების მიხედვით, ეს პროექტები პირველ ადგილს დაიჭერენ მომავალ საარჩევნო პროგრამაში.

ამას გარდა ყრილობამ დაჟინებით მოითხოვა ლორდთა პალატის რეფორმა: ეს ღონისძიება საჭიროა იმ შემთხვევისთვის, თუ დემოკრატიული მთავრობა (?) შესდგა. ბოლდუინის მთავრობას წინადადება მიეცა სათანადო კანონპროექტი შეიტანოს უახლოესი სესიის განმავლობაში. ჩვენ არ ვიცით რას გვიქადის უახლოესი არჩევნები, სთქვა ერთმა დელეგატმა, ჩვენ თავი უნდა დავიზღვიოთ მუშათა მთავრობის შედგენის შესაძლებლობისაგანო.

პროტექციონიზმის საკითხს, რომელსაც ლიბერალების და მუშათა პარტიის პოლიტიკოსების აზრით, განხეთქილება უნდა გამოეწვია კონსერვატიულ პარტიაში, არავითარი მოულოდნელობის გრძნობაც კი არ გამოუწვევია. არავითარი უთანხმოება არ არსებობს ამ დარგში. პროტექციონიზმის პრინციპი რჩება კონსერვატიული პარტიის საფუძვლად. ყრილობამ ერთხმად მოითხოვა პროტექციონისტული ღონისძიებების გაძლიერება, რომელთაც საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად თავდაცვის ღონისძიებებს უწოდებენ. ამ ცოტა ხნის წინათ ბოლდუინმა უარი სთქვა „დასაცავ დარგთა" რიცხვში შეეტანა რკინის და ფოლადის მრეწველობა. მაგრამ ისიც დაუმატა, რომ არც ერთს დარგს აკრძალული არ აქვს თავისი „მოსაზრებანი" წარმოადგინოსო. და აი ყრილობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ „დასაცავ დარგთა" რიცხვში შეიტანოს რკინის და ფოლადის ინდუსტრიაც.

საღამოს ბოლდუინმა, რომელიც მანევრებს აკეთებს საპარლამენტო არჩევნების თვალსაზრისით, სიტყვა წარმოსთქვა ჰიპოდრომში და შეეცადა შეემცირებია ყრილობის რეზოლიუციის მნიშვნელობა. პროტექციონიზმი არ არის პოპულიარული და სახიფათო იქნებოდა არჩევნების დროს საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ გალაშქრება. რასაკვირველია, ბოლდუინი სრულიადაც არ უარჰყოფს პროტექციონიზმის იდეას. მაგრამ როგორც გამოწრთობილ პოლიტიკოსს შეეფერება, მას სურს მეთოდიურად იმოქმედოს, პროტექციონიზმი თანდათანობით შემოიღოს, ამ მიზნის მისაღწევად საბაბათ თავდაცვა გამოიყენოს. ესაა ერთი იმ საზოგადოებრივი აზრის მოტყუებისა.

ბოლდუინის სიტყვა, შინაარსის მხრით, არაჩვეულებრივად უბადრუკი იყო. მან იერიში მიიტანა მუშათა პარტიაზე. მან კრიტიკა გაუკეთა ლოიდ ჯორჯსა და მის პარტიას და შემდეგი საკითხი დაუსვა: „იმ შემთხვევაში თუ არჩევნების შედეგმა ლიბერალებს ხელისუფლების სასწორი გადასცა, ვის მხარეზე გადაიხრება ლოიდ ჯორჯი, კონსერვატორებისა თუ მუშათა პარტიის?

ამრიგად ბოლდუინმა თავიდან აიშორა მომავალი საარჩევნო პროგრამის დეტალების განხილვა. ეს კი დიდი იმედის გაცრუება იყო ოპოზიციის პარტიებისათვის, რომელნიც ერთი კვირის შემდეგ იკრიბებიან.

ლონდონი, 1 ოქტომბერი.

კ. დავიდ.

შეცდომები უნდა გამოსწორდეს

მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შედეგების შეჯამებამ დაგვანახვა, რომ აკრეფილი თანხის რაოდენობა აღემატება ნავარაუდევს დაახლოებით 10-18 პროცენტით. ამასთანავე გამოირკვა, დეფექტები და მახინჯი მოვლენები სხვადასხვა რაიონებისა და მეურნეობის დაბეგვრის საქმეში.

გადასახადის საერთო თანხის სიჭარბე ეწინააღმდეგება დირექტივას გადასახადის საორიენტაციო თანხის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს სიჭარბე მაინც განსაკუთრებული საფრთხე არ იქნებოდა, რადგან დაბეგვრის საშუალო სიმძიმე (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ...

... ბის სხვა დარგების დაბეგვრის საქმეში. ამ დირექტივებმა და აგრეთვე მე-15 ყრილობის ძირითადმა მითითებამ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების საჭიროების შესახებ მკაფიო გამომოხატულება ჰპოვეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახლანდელ კანონში. მაგრამ ამ კანონის განხორციელების დროს ჩადენილია სხვადასხვა შეცდომა და დამახინჯება. ცალკე საგლ. მეურ. შემოსავლიანობის უფრო სწორი აღრიცხვისათვის, სას.-სამ. გადასახადში საშემოსავლო ელემენტების გაღრმავებისათვის საჭირო იყო გლეხობის შემოსავლის გამორკვევა ნათესის და არა ნახნავის მიხედვით. მაგრამ რადგან დაბეგვრაზე გადასვლა ნათესის მიხედვით ჯერ შემზადებული არ არის, ამიტომ კანონმა უფლება მისცა ადგილობრივ ორგანოებს, ამოირჩიონ დაბეგვრის მეთოდი.

იგივე უნდა ვსთქვათ პროგრესის შემუშავების სისტემის შესახებ: რის მიხედვით უნდა შემუშავდეს პროგრესია, თვითეული სულის შემოსავლისა თუ მთელი მეურნეობის დაბეგვრის მიხედვით. კანონმა ადგილობრივ ორგანოებს უფლება მისცა პროგრესიის ამა თუ იმ სისტემის გამოყენების საკითხის დასმისა. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცენტრს უარეყოს ადგილობრივი ორგანოების წინადადება— დარჩენილიყო თვითეული სულის შემოსავალზე დამყარებული სისტემა. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრას უყურადღებოდ ექცეოდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ბევრი იმისთანა შემთხვევა, როდესაც საგრძნობლად გაუდიდდათ გადასახადი მრავალოჯახიან მეურნეობებს, ხშირად, საშუალო გლეხობის მეურნეობებს.

ახალი კანონი ითვალისწინებს გლეხობის დაბეგვრის ობიექტთა უფრო სრულ აღრიცხვას. რაც შეეხება დაბეგვრის წესს, ამ მხრით ადგილობრივ ორგანოებს თვალსაჩინო უფლება მიეცათ. კანონში აღნიშნულია მხოლოდ მინიმუმი მიწადმოქმედების გარეშე მიღებული შემოსავლის იმ პროცენტებისა, რომლებიც უნდა დაიბეგრონ. ადგილობრივმა ორგანოებმა კი ბევრ შემთხვევაში ძალიან გადააჭარბეს დასაბეგრ მინიმუმს. კანონი ამბობს, რომ უნდა დაიბეგროს მიწადმოქმედების გარეშე მიღებული მშრომელთა შემოსავლის არა ნაკლებ 35 პროცენტისა. ამიტომ ადგილობრივ ორგანოებს შეეძლოთ ამ პროცენტის გადიდება. მაგრამ არა მიწადმოქმედებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის პროცენტის დაწესების უფლება ადგილობრივ ორგანოებს სწორედ იმიტომ, მიეცათ, რომ კულაკების შემოსავლის დაბეგვრის ამოცანა დაკავშირებული ყოფილიყო სარეწაოების განვითარებასთან სოფლად.

ამის ნაცვლად კანონში აღნიშნულ მინიმუმს — 35 პროცენტს — ხშირად ერთო- ...

... დეს და, საცა საჭირო იქნება, შემცირდეს იმ მეურნეობათა გადაჭარბებული დაბეგვრა, რომელთაც არამიწათმოქმედებითი შემოსავალი აქვთ. მთელი მუშაობა შესრულებულ იქნას სასწრაფოდ იმ ვარაუდით, რომ გადასახადის თანხა სრულად იქნას შეტანილი, სადაც ჯერ არს, დაწესებულ ვადებზე.

ჯერ კიდევ ცნობები არა გვაქვს, თუ რამდენად არის შესრულებული დირექტივები იმ შეცდომების გამოსწორების შესახებ, რომლებიც ჩადენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს, რომ ეს მუშაობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ამას ადასტურებენ გლეხების წერილები, საჩივრები და ზოგიერთ გამოკვლევათა შედეგები. ადგილობრივ ჯერ კიდევ ათასობით არსებობს განუხილველი საჩივრები. ინდივიდუალური წესით დაბეგრილ მეურნეობებს ხშირად მეტის-მეტად დიდი გადასახადი აქვთ დადებული. მთელი ღარიბი გლეხობა ყველგან არ არის განთავისუფლებული გადასახადისაგან, ზედმეტად არის დაბეგრილი მშრომელთა ბევრი მეურნეობა, რომელსაც არა მიწათმოქმედებითი შემოსავალი აქვს.

აქედან გამომდინარეობს ადგილობრივი ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაც: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარგში ჩადენილ შეცდომათა გამოსწორების საქმე ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს იმ ვარაუდით, რომ ოქტომბრის განმავლობაში მთელი ეს მუშაობა მთლიანად დამთავრდეს.

საკმაო არ არის მარტო ცირკულიარები და წერილები. საჭიროა ადგილობრივვე გულდასმით შემოწმდეს გადასახადის აკრეფის შედეგები და გლეხთა საჩივრების ხასიათი. საჭიროა პასუხისმგებელი ამხანაგების დაგზავნა ადგილობრივ,— თემებსა და სოფლებშიაც კი,—რათა ოქტომბრის განმავლობაში მოხერხდეს იმ შეცდომათა და დამახინჯებათა სრული გამოსწორება, რომლებიც ჩადენილ იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს.

„პრავდა", 12 ოქტომბერი.

საბჭ. კავშირის სახ. მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928-29 წლისათვის

ამხ. გრინკოს მოხსენება სახელმწიფო საგეგმო კომისიების მე-4 ყრილობაზე

მოსკოვი, 12 ოქტომბერი: 1927-28 წლის საკონტროლო ციფრების შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკონტროლო ციფრებში სათანადოდ არ იყო შეფასებული ჩვენი მრეწველობის საწარმოო შესაძლებლობანი და ზედმეტად იყო შეფასებული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობანი. საკონტროლო ციფრებში მრეწველობის ზრდა ნავარაუდევი იყო 14 პროცენტით, ფაქტიური ზრდა კი 21 პროცენტს უდრის. ამავე დროს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდა ნავარაუდევი იყო 4 პროცენტით, ფაქტიურად კი მიღებულ იქნა 2,7 პროცენტით ნაკლები პროდუქცია. არ გამართლდა აგრეთვე საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული შინამრეწველობისა და კერძო მრეწველობის ზრდა. პირიქით, წვრილი შინამრეწველობა და კერძო მრეწველობა რამდენიმედ შემცირდა; სამაგიეროთ ინტენსიურად გაიზარდა მსხვილი სახელმწიფო მრეწველობა. სათბობის ხარჯვა საბჭოთა კავშირში გასულ წელს 13 პროცენტით გაიზარდა, მისი წარმოება და დამზადება კი მხოლოდ 4 ნახ. პროცენტით. შავი მეტალურგიის ზრდის ტემპი ჩამორჩება მანქანათმშენებლობას და, საერთოდ, მძიმე ინდუსტრიას: მეტალურგიის ზრდა 12 ნახ. პროცენტს უდრის, ხოლო მანქანათმშენებლობის—21 პროცენტს. დამაკმაყოფილებელი არ არის აგრეთვე საშენებლო მასალის დამზადების ზრდის ტემპი. მუშათა რიცხვი გაიზარდა არა 4 პროცენტით, არამედ 7 პროცენტით. ერთი მუშის გამომუშავება გაიზარდა 14 პროცენტით და არა 17, 2 პროცენტით, როგორც გათვალისწინებული იყო, ხელფასი გაიზარდა 10 ნახ. პროც., ნაცვლად გათვალისწინებული 7,2 პროცენტისა. 1928-29 წლის საკონტროლო ციფრები სავსებით შეეფერებიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საერთო გეზს. გეგმაში გათვალისწინებულია ექსპორტის მაქსიმალური შესაძლებლობანი, ამიტომ გეგმის ოდნავ შეუსრულებლობა დაუყონებლივ იქონიებს გავლენას ჩვენი ქვეყნის საერთო-სამეურნეო განვითარებაზე.

1928-29 წლის საკონტროლო ციფრების თავისებურებას წარმოადგენს ორიენტაცია სოფლის მეურნეობის განვითარების [illegible] მაღალ ტემპზე. ზრდა გათვალისწინებულია არა მარტო ნათესების გაფართოვების, არამედ მოსავლიანობის გადიდების საქმეშიაც. ნათესის სივრცის გაფართოვება გათვალისწინებულია 6-7 პროცენტით. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით უნდა გაიზარდოს 15 პროცენტით; ამასთან მძიმე მრეწველობის ზრდა გათვალისწინებულია 15.9 პროცენტით, ხოლო მსუბუქი მრეწველობის—13,8 პროცენტით. საკონტროლო ციფრებში ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციამ ჰპოვა გამოხატულება. ქიმიური მრეწველობის საერთო ზრდა ნავარაუდევია 34 პროცენტით, ნაცვლად გასული წლის 21 პროცენტისა. მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. თვითღირებულება 10 პროცენტით უნდა შემცირდეს. 1928-29 წელს მრეწველობის კაპიტალურმა ხარჯებმა უნდა შეადგინონ 4 ნახ; მილიარდი მანეთი. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი გაიზრდება 17 პროცენტით, ხოლო უმუშევართა დამხმარე ფონდი გადიდდება 30 მილიონი მანეთით. (ადს).

36 წარმოება 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 12 ოქტომბერი 1928—29 წელს 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება 36 წარმოება 46.000 მუშით. 27 წარმოება 7 საათის სამუშაო დღეზე გადავა პირველი კვარტალის განმავლობაში. წლის ბოლოს 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ წარმოებებში ჩაბმული იქნება მოსკოვის მრეწველობის მუშათა 20 პროცენტი (ადს).

„ავტოდორ"-ის ყრილობა

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. „ავტოდორ"-ის ყრილობაზე მოსმენილ იქნა ამხ. იაკიმოვის მოხსენება საგზაო მშენებლობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში შარაგზების სიგრძე დაახლოვებით 3 მილიონ კილომეტრს უდრის, აქედან გზატკეცილებზე მოდის მხოლოდ 20.000 კილომეტრი. შარაგზებით გადაზიდვა ბევრად უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე გზატკეცილებით გადაზიდვა. გადაზიდვაზე გაწეული ზედმეტი ხარჯები სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად 700 მილიონ მანეთამდე ზარალს აყენებს. ასიგნობები საგზაო მშენებლობისათვის სრულებით არ არის საკმაო. საგზაო მშენებლობის განვითარება უნდა სწარმოებდეს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პარალელურად. ყურადღება უნდა მიექცეს შარა გზების მშენებლობის გაუმჯობესებას მანქანების საშუალებით. უნდა შეიქმნას სპეციალური მრეწველობა საგზაო მასალის (ასფალტი, ბიტუმი, გუდრონი, კლინკერი, სილიკატი და სხვ.) დასამზადებლად. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის გამოცდილება. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მაქსიმ გორკის გამგზავრება

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს სორენტოში გაემგზავრა მაქსიმ გორკი. გორკის გამგზავრება გამოწვეულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მაქსიმ გორკის, რომელიც დაავადებულია ფილტვების ტუბერკულოზით და მიოკარდიტით ჰქონდა ფილტვებში ქრონიკული პროცესის საგრძნობი გამწვავება, რაც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული გულის მუშაობის შესუსტების მოვლენათა გამოკვლევის დროს.

მოსკოვში კიდევ დარჩენას შესაძლებელი იყო გამოეწვია გორკის ჯანმრთელობის ...

ლოძელი მრეწველები თანახმა არიან ხელფასის მომატებაზე

ვარშავა, 12 ოქტომბერი. ლოძის მრეწველებმა თანხმობა განაცხადეს მთავრობის წინადადებაზე ხელფასის ხუთი პროცენტით მომატების შესახებ. (ადს).

58 კაცის დაღუპვა

პრაღა, 11 ოქტომბერი. ამ დღეებში ჩამონგრეული სახლის ნანგრევებიდან ამოიღეს 28 გვამი. ნანგრევებში დარჩენილია 30 კაცი. ისინი დაღუპულად უნდა ჩაითვალონ. (ადს).

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის ნეშტის გადასვენება კრემატორიუმში

...

... ლი უკმაყოფილების გამოაშკარავება. 10 ოქტომბერს აღმშენებელმა მუშებმა გამოაცხადეს დემონსტრატიული გაფიცვა. ეროვნებათა ერთიანი პროფკავშირების რწმუნებულთა კრებამ დაადგინა ულტიმატიურათ მოითხოვონ საალმშენებლო მუშებისათვის ხელფასის მომატება და მუშაობის შეწყვეტა კატასტროფის მსხვერპლთა დაკრძალვის დღეს. (ადს)

... ბოთვინიკის გახევითაოებისას შავებმა (გოგლიძე) მოიგეს პაიკი და მოწინააღმდეგე ჩააყენეს უფრო პასიურ მდგომარეობაში. ნახევარი საათის შესვენების შემდეგ თეთრებმა კვლავ მოინდომეს დაკარგული უპირატესობის დაბრუნება და რამოდენიმედ კიდევაც გამოასწორეს მდგომარეობა.

მე-54 სვლაზე მოწინააღმდეგენი დათანხმდენ ყაიმზე. მატჩის მდგომარეობა ასეთია: გრიგორიევი + 4 ნახ., და გოგლიძე + 1 ნახ.

საკავშირო თათბირი საბჭოების გადარჩევის შესახებ

ამხ. ენუქიძეს საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს თათბირის დილის სხდომაზე დასრულდა კამათი ამხ. კაგანოვიჩისა და ენუქიძის მოხსენებათა გამო. ამხ. ენუქიძემ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიაც შეჩერდა კამათის დროს აღძრულ უფრო სერიოზულ საკითხებზე. ამხ. ენუქიძე შეეხო საკითხს სარევიზიო კომისიების შესახებ. მან სთქვა:

„იმისათვის, რომ სარევიზიო კომისიების ფუნქციები არ განისაზღვრებოდეს მხოლოდ აღმასკომების ფინანსიურ ანგარიშთწარმოების შემოწმებით, აგრეთვე იმისათვის, რომ სარევიზიო კომისიები საბჭოთა მუშაობას ასრულებდნენ არსებითად და არა ფორმალურად, საჭიროა გაძლიერდეს კავშირი მათსა და მოსახლეობის შორის. ამიტომ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სარევიზიო კომისიების შედგენას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამომრჩევლები თვალყურს ადევნებდნენ სარევიზიო კომისიების საქმიანობას".

შეეხო რა ქალაქის საბჭოების მუშაობის საკითხს, ამხ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ ამას ...

... თა და გლეხთა კურიების მიხედვით სწორი არ არის და პოლიტიკურად მავნებელია. საჭიროა მათი თანდათან მოსპობა იქ, სადაც ისინი დღემდე არსებობენ. სულ სხვა საქმეა როდესაც ხდება დელეგატების არჩევა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. აქ გათვალისწინებულია სხვა და სხვა ნორმა გლეხებისა და მუშებისათვის, სოფლისა და ქალაქის ამომრჩევლებისათვის. ეს უთანასწორობა საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენს ხელმძღვანელ საკანონმდებლო ორგანოებში უზრუნველვყოთ მუშათა კლასის გავლენა, რადგან რიცხვობრივად, გლეხობასთან შედარებით, იგი უმნიშვნელოა. ვფიქრობ, რომ მომავალში როცა გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობა თავის კალაპოტში მოაქცევს გლეხობას, როცა ამ გლეხობის კულტურული დონე ამაღლდება, შევძლებთ დავაწესოთ ამომრჩეველთათვის ერთნაირი ნორმები, მაგრამ ამჟამად ამისი დრო ჯერ არ დამდგარა".

დასასრულ, ამხ. ენუქიძე შეეხო საბჭოების განახლების საკითხს (მან აღნიშნა, რომ საბჭოების ზედა ფენების შეცვლა ფრთხილად უნდა ხდებოდეს, რადგან მუშაკთა ცვალებადობა არა ჰქმნის ნორმალურ პირობებს მუშაობისათვის), საკითხს სოფლის საბჭოების პერსონალის შესახებ (იგი საჭიროდ სცნობს სოფლის საბჭოების მუშაკთა მატერიალურად ...

თათბირის დახურვა

...

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მეორე ტირაჟი

საუბარი ამხ. დ. გუსეინოვთან

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანიას, რომელიც ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქსა და სოფელს მოედო, ახალი მომენტი დაუდგა—ეს არის გლეხური მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 სერიის მეორე ტირაჟი, რომელიც დანიშნულია 19—22 ოქტომბრისთვის სომხეთში, ვაღარშაპატში (ეჩმიაძინში). ამ ტირაჟის დროს ერთხელ კიდევ გამოაშკარავდება, ერთის მხრით, მშრომელთა მასების ერთსულოვანი წადილი—მხარი დაუჭირონ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო კრედიტს, ხოლო მეორე მხრით, იმავე ხელისუფლების მისწრაფება—გადაუხვევლად და სისწორით შეასრულოს თავისი საკრედიტო ვალდებულებანი მშრომელთა წინაშე. ამიერ-კავკასიის ფედერაციის პირობებში ეს ტირაჟი, ისევე, როგორც ამას წინად განჯასა და ქუთაისში მომხდარი ტირაჟები, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ძმური ერთობისა და სოლიდარობის დემონსტრაცია იქნება.

ამ ტირაჟზე 1.886 მოგებით 87500 მანეთი—ყოველ მოგებაზე 50 მანეთიდან 1.000 მანეთამდე—განაწილებული იქნება იმ ობლიგაციების შორის, რომელთა ობლიგაციებსაც მოგება შეხვდებათ. უდიდესი ნაწილი ამ მოგებებისა შეხვდება ამიერ-კავკასიის სოფლებს, სადაც განაწილებულია სესხის მე-17 სერიის სამი მეოთხედი, ამ ცხად მაგალითზე ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან თავმოყრილი გლეხთა დელეგაციები დარწმუნდებიან, თუ რა ხელსაყრელია სახელმწიფო სესხი, დარწმუნდებიან და შემდეგ ამ ამბავს მოსდებენ ამიერ-კავკასიის სოფლის ყველა კუთხეს, მოსდებენ ამ ამბავს ისინი, როგორც აქტიური მოხალისეაგიტატორები საბჭოთა სახელმწიფო სესხებისა, კერძოდ, იმ მთლიანი მუშურ-გლეხური სესხისა—ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის,—რომლის განაწილებაც სოფლად მცირეოდენი დაგვიანებით ეხლა ხდება.

იმისათვის, რომ ამ ტირაჟმა სავსებით მიაღწიოს დასახულ მიზანს, საჭიროა მისი ფართოთ მოწყობა, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას რაც შეიძლება მეტი გლეხის მონაწილეობა მასში. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მაზრები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო წარმომადგენლების გაგზავნით სატირაჟო კომისიაში,—მათ უნდა გაგზავნონ ტირაჟზე თვითეულ თემ-დაირიაში და უბანში ამორჩეულ წარმომადგენლებისაგან შემდგარი ცალკე დელეგაციები და ექსკურსიები და უნდა მისცენ მათ მტკიცე დირექტივა გაიგონ ტირაჟზე ყოველივე, რაც კი შეეხება სახელმწიფო კრედიტს, რათა დაბრუნების შემდეგ აცნობონ მსურველთ, რაც მათ იქ ნახეს და გაიგონეს, ამ მხრივ ჩვენ უნდა დაგვეხმარონ ადგილობრივი ორგანოები—აღმასკომები, რომელთაც სესხების რეალიზაციიდან 10 პროც. ეძლევათ ადგილობრივ საჭიროებისათვის.

მომავალ კვირაში იწარმოებს შეთანხმებული მუშაობა სოფლად, როგორც სესხების ტირაჟის, ისე სესხის განაწილებისთვის. სხვადასხვა ძალებმა და ორგანიზაციებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სესხის განაწილებაში—პრესამ, დახმარე კომიტეტმა, ცალკე რაიონების ხელმძღვანელებმა, ინსტრუქტორებმა, მთელმა სოფლის აქტივმა და გლეხთა საზოგადოებრივობამ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს.

მრავალრიცხოვანი გლეხური ჯგუფების მოზიდვა ტირაჟზე მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდან, ხმამაღლა, მაგრამ აქტიური და დამკვრელი კამპანიის გამართვა ტირაჟის გარშემო, თვით ტირაჟისა და მისი ტექნიკის კარგი ორგანიზაცია, მოხსენებები, განმარტებები, ცნობები და ლიტერატურა ჩამოსულ გლეხთა დელეგაციებისათვის, სწორი კავშირის ორგანიზაცია ტელეგრაფისა და რადიოს შემწეობით ინფორმაციის მოსაწოდებლად ამიერ-კავკასიის ყველა რაიონში—ყველაფერი ეს შეადგენს ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების დამკვრელ ამოცანას".

საუბარი ამხ. პონოვკოსთან

საკავშირო ფინსახკომის სატირაჟო კომისიის რწმუნებულმა ამხ. პონოვკომ, რომელიც დანიშნულია ვაღარშაპატში გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟის ჩატარების ხელმძღვანელად, ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟები ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს 12 ადგილას. ამიერ-კავკასიას წილად ხვდა მხოლოდ ერთი ტირაჟი, რომელიც შესდგება ვაღარშაპატში. ორგანიზაციულად ეს ტირაჟი ისე უნდა მოეწყოს, რომ გათამაშებაზე შესაძლებელი გახდეს რამდენიმე ათეული ათასი გლეხის დასწრება.

ვაღარშაპატში სულ გათამაშებული იქნება 1886 მოგება, მოგების საერთო თანხა უდრის 87500 მანეთს. იმ გლეხებს, რომელთაც ხვდება მოგება, ანგარიშს გაუსწორებენ დაუყოვნებლივ—მომგებიან ობლიგაციების წარდგენისთანავე.

ტირაჟი ვაღარშაპატში დაიწყება 19 ოქტომბერს და გათავდება 22 ოქტომბერს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, 1 ოქტომბრამდე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში შემოვიდა 1.703.452 მან.

ამ თანხიდან აზერბეიჯანზე მოდის 650.323 მან., სომხეთზე—553,553 მან. და საქართველოზე—499.320 მან.

წარსულ წელს 1-ლ ოქტომბრისათვის შემოსული გადასახადი უდრიდა მხოლოდ 335.000 მან.

პარტიული აღმშენებლობა

დაიწყო ბიუროების საარჩევნო კამპანია

ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზით დაუზოგველად ვამხილოთ ყოველი ნაკლი.—განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია,—თვითეულმა კომუნისტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გადარჩევაში.

მორიგი შემოწმება

ბიუროების გადარჩევის მიმდინარე კამპანია ფაქტიურად პირველი კამპანიაა, რომლის დროსაც უნდა მოხდეს შეჯამება მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზედ წარმოებულ პრაქტიკული მუშაობისა სოციალისტურ მშენებლობის დარგში. მეორეს მხრივ არჩევნების ვადა უფარდდება საკავშირო კომპარტიის ცეკას მითითებათა დამუშავების პერიოდს, იმ მითითებათა, რომელიც მოცემულ იქნა საქართველოს კომპარტიის მუშაობის სპეციალური გამოკვლევის შემდეგ.

ეს ორი მთავარი მომენტი განსაკუთრებით აძლიერებს მიმდინარე კამპანიის პრაქტიკულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის შემდეგი განვითარებისათვის.

კამპანიის ძირითადი ამოცანაა აგრეთვე სახელმძღვანელო პარტიულ დირექტივათა შესრულების შემოწმება. ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციათა მუშაობაში.

იმისათვის, რომ მუშაობის შეჯამების და მორიგი ამოცანების დასახვის დროს ადგილი არ ექნეს წვრილმანებით გატაცებას, რასაც ...

... ლებით შევსების საქმის მოგვარება, პარტმუშაობის რაციონალიზაცია, საუჯრედო მუშაობის შინაარსის ხარისხის გაუმჯობესება.

საქ. კომპარტიისათვის მიცემულ დირექტივებში, საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ, ხაზი გაუსვა რა მიღწევებს პარტიის მიერ პროლეტარულ მასების მიმხრობის საქმეში, აღნიშნა: „საჭიროდ იქნეს ცნობილი ამ მიღწევათა მეტი ორგანიზაციული განმტკიცება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში მუშათა მასების ფართო ჩაბმის გზით".

ახალ ბიუროებისათვის მიცემულ ნაკაზში გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული ამ მითითების განხორციელების აუცილებლობა.

ამჟამად მასიური მუშაობა მრავალი ნაკლით ხასიათდება: ადგილი აქვს პარტუჯრედების კარჩაკეტილობისა, ხელმძღვანელობიდან მოწყვეტის და მასების განწყობილებისათვის ანგარიშის გაუწევლობის შემთხვევებს. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მოწოდების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „რეკონსტრუქციის პერიოდის ამო- ...

საბოლოოდ უნდა განიდევნოს „კაზიონური" დადგენილებების მიღება. რომელიც ხშირად სრულებით არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას და საერთოდ თვითკმაყოფილებით ხასიათდება.

თვითკრიტიკის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს შინაპარტიული დემოკრატიის თამამად გაშლამ. მიმდინარე კამპანიაში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ზევიდან დაწოლის, კანდიდატურების თავზე მოხვევის ცდებს და „უზრუნველყოფილ იქნეს არჩევითობის პრინციპის სავსებით გატარება პარტიულ ინსტანციებში".

თ. კორსაველი.

საარჩევნო კრებებზე

სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკ. ფაკ. უჯრედში

სოც. ეკ. ფაკულტეტის კომუჯრედმა მოისმინა ამხ. ალ: პაპავას მოხსენება—საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის შესახებ:

მომხსენებელი რამდენიმე წუთს შეჩერდა უჯრედის მიღწევებზე, რის შემდეგაც ხაზგასმით აღნიშნა ყველა ის დეფექტები, რომელიც აფერხებდენ უჯრედის საქმიანობას.

„წელს—ამბობს მომხსენებელი—შედარებით ბევრი ადგილი გვქონდა დათმობილი სტუდენტთა პრაქტიკისათვის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევებში პრაქტიკაზე გაგზავნილ სტუდენტების მუშაობამ ვერ გამოი- ...

სუსტი იყო აგრეთვე კანდიდატთა შემადგენლობასთან მუშაობა. ვერ მოახერხეს გამოვეკვლია და შეგვემოწმებია ის, თუ რამდენად შეითვისეს უჯრედის კანდიდატებმა, ბოლშევიზმის პრინციპები.

პარტდატვირთვის რაციონალიზაციის საკითხი ჯერ კიდევ არ მოგვარებულა. ერთი და იგივე ამხანაგები რამოდენიმე დავალებას ასრულებენ, მეტი წილი კი დავალების გარეშე რჩება.

რაც შეეხება კომკავშირის უჯრედს, მან სათანადოთ ვერ განავითარა მუშაობა კომკავშირის შემადგენლობის შესასწავლად. სუსტად მიმდინარეობდა უპარტიო ახალგაზრდობის ...

... მასების ხელმძღვანელობის ნაცვლად ადგილი აქვს „მაჩანჩალობის" შემთხვევებს, დაბალია პარტიული მასის პოლიტიკურ, კულტურული დონე.

სწორედ ამიტომ საარჩევნო კამპანიის დროს პრაქტიკულ ამოცანას უნდა შეადგენდეს შინა საუჯრედო მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, პარტმასის პოლიტიკურად და კულტურულ დონის ამაღლებისათვის ბრძოლა, პარტიის რიგების ახალი პროლეტარულ ძა- ...

... თვითშემმოწმებელ კომისიების დასკვნების წინასწარ გაცნობას პარტიის წევრთათვის კედლის გაზეთებში გამოქვეყნების, აქტივის თათბირებზე წაკითხვის ან სხვ. გზით.

კამპანიის დროს ადგილი არ უნდა ექნეს საარჩევნო კრებების დღის წესრიგის ზედმეტად დატვირთვას, მიღებული დადგენილებები სრულად უნდა გამოხატავდენ ყველა იმ საქმიან წინადადებებს, რომელიც წამოყენებული იქნება პარტ-მასის მიერ.

... ტის გაბერვა ხელს შეუწყობს უჯრედის მუშაობას!

მოხსენების ირგვლივ იხსნება კამათი. პირველად სიტყვას იღებს თვითშემმოწმებელი კომისიის წევრი ამხ. ადამაძე .

„საბჭოთა უჯრედების ძირითადი ამოცანა—იწყებს ამხ. ადამაძე. — ბიუროკრატიზმთან ბრძოლაა. უნდა ითქვას ,რომ აღმასკომის უჯრედს არ უწარმოებია ეს ბრძოლა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

ბიუროკრატიზმი და „ვოლოკიტა" უქსში ჯერ ძველებურად ჰყვავის. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ ოთახზე, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა, სამი ოთხი ორდერია გამოწერილი.

ჟურნალი, რომელსაც აღმასკომი სცემს არაფრად არ ვარგა, საჭიროა ამ ჟურნალისათვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. ყველა ამ ნაკლს ყურადღება უნდა მიაქციოს ახალმა ბიურომ".

„სოფლის კავშირის" ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირი

კოლმეურნეობათა მდგომარეობა საქართველოში

(მომხსენებელი ამხ. ა.ქანთარია)

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი ამხ. ქანთარია, ახასიათებს საქ. კოლმეურნეობათა მდგომარეობას ა. წ. 1-ლი სექტემბრისათვის.

მიმდინარე საკალენდარო წლის დამდეგს სოფლის კავშირთან კოლმეურნეობათა მოძრაობის სახელმძღვანელოდ მოწყობილ იქნა სექცია, რომელიც ფაქტიურად მუშაობას შეუდგა ა. წ. მაისიდან. დაახლოებით ერთი თვის წინად სექცია გადაკეთებულ იქნა კოლმეურნეობათა ცენტრად. ამ მოკლე ხანში ჯერ სექციამ და შემდეგ ცენტრმა ...

საბაზრო პროდუქცია—243602 მან. 40 კაპ.

მარცვლეულ კულტურების და ნედლეულობის საერთო პროდუქციის ჯამი უდრის 795437 მან. 50 კაპ.

კონტრაქტაცია

შემდეგ მომხსენებელი ეხება კონტრაქტაციის ჩატარების გეგმას სხვადასხვა კულტურების დარგში. საქციო ამხანაგობა „საქართველოს ჩაი"-ს გეგმით ოზურგეთის მაზრაში ...

კოლმეურნეობათა ზრდა

კოლმეურნეობათა საერთო პროდუქცია

საქმიანი შენიშვნებით შეუძლიათ ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა საქმიანობაში მრავალ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

კოლმეურნეობათა ზრდის გაძლიერების გამო, მორიგ გადაუდებელ ამოცანად სდგას მათთვის მუშაკების მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი წარმატება მეტად შეფერხდება.

ურთიერთობა კოლმეურნეობათა და მათ გარშემო მყოფ მოსახლეობის შორის ნორმალურია. იშვიათ შემთხვევაში ზოგიერთ კოლმეურნეობას ეტყობა კარჩაკეტილობა, რომლის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა სწარმოებს. ნივთიერი ხელმოკლეობის გამო ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობას არ შეუძლია დახმარება გაუწიონ მის მეზობლათ მყოფ გლეხურ მეურნეობას. ამ მხრივ უფრო მეტ აქტივობას იჩენენ სას.-სამ: კომუნები და შედარებით ...

კლუბები, კედლის გაზეთები, წითელი კუთხეები, ექსკურსიები, მასიური გართობა ჯერ ჩვენი კოლმეურნეობებისათვის უცხო ხილია. საჭიროა არა მარტო პოლიტ-განათლების საბჭოთველოს, არამედ ყველა ადგილობრივ პარტიულ, [illegible], კოოპერატიულ ორგანიზაციების დახმარება კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, საჭიროა თვით კოლმეურნეობებმა გადასდონ ამ საქმისათვის მცირე თანხა და თავიანთ მუშაობის გეგმაში შეიტანონ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ ღონისძიებებს, რომ- ...

სას.-სამ. კრედიტის სისტემის რეორგანიზაციის საკითხი

(მომხსენებელი ამხ. კ. ჩხენკელი)

ამას წინად მოსკოვში შესდგა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სას.-სამ. ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი, რომლის დღის წესრიგში იდგა საკითხი სას.-სამ. კრედიტის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ. ამ საკითხის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შინაარსი თათბირს გააცნო ამხ. კ. ჩხენკელმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა მოსკოვიდან.

— ვიდრე სას.-სამ. ბანკების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი,—ამბობს ამხ. ჩხენკელი,—შეუდგებოდა სას.-სამ. კრედიტის სისტემის რეორგანიზ. საკითხის განხილვას, იგი გაეცნო საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნას სას.-სამ. კრედიტის სისტემის მუშაობის შესახებ. მ. გ. ინსპექცია თავის დასკვნაში აღნიშნავს რა მთელ რიგ მიღწევებს, ხაზს უსვამს აგრეთვე ამ სისტემის მრავალ ნაკლულოვანებებს, რომელთა გამოსასწორებლად მ. გ. ინსპექციას საჭიროდ მიაჩნია სას.-სამ: კრედიტის სისტემის რეორგანიზაცია. ეს რეორგანიზაცია გულისხმობს ზოგიერთი საფეხურის გაუქმებას სისტემაში. თათბირზე დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა ...

... თის რეორგანიზაციას: რჩება, როგორც ცენტრალური საკავშირო ბანკი, ისე რესპუბლიკანური ბანკები. პირველის კლიენტურა უნდა განისაზღვროს რესპუბლიკების სას.-სამ. ბანკებით, ხოლო ამ უკანასკნელთა კლიენტურა სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებებით (რაიონებში—სას.-სამ: საკრედიტო კავშირებით): სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელნი გამოვიდნენ სას.-სამ. კრედიტის სისტემის არსებობის წინააღმდეგ. მათი აზრით, ეს სისტემა უკვე აღარ არის საჭირო, რადგან იგი წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო სახსრების განმანაწილებელ ორგანიზაციას. ამ საქმეს კი დაუბრკოლებლად შეასრულებს თვით სახელმწიფო ბანკიც, რომელსაც შეუძლია კრედიტები სას. მეურნეობის ასაღორძინებლად გაატაროს თავისი ფილიალების საშუალებით. თათბირის უმრავლესობა (10 ხმით 9 წინააღმდეგ) მიემხრო აზრს, რომლის თანახმად საკავშ. ცენტრალური სას.-სამ. ბანკი რჩება, როგორც ოპერატიულ და ორგანიზაციულ საქმიანობის ხელმძღვანელი, ხოლო რაც შეეხება სას.-სამ. საკრედიტო ამხ-თა ძირითად ქსელს, იგი რჩება ...

საქ. ფეიქართა მე-7 ყრილობა

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე, ცენტრალური გამგეობის საქმიანობის გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. მატინიანის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარეს—ამხ. გ. ჟურულიშვილს.

საფეიქრო მრეწველობის პ რესპექტივები საქართველოში

(ამხ. გ. ჟურულიშვილის მოხსენება)

— ჩვენში საფეიქრო მრეწველობა,—ამბობს ამხ. ჟურულიშვილი,—უნდა დაეყრდნოს მეურნეობის მხოლოდ იმ დარგებს, რომელთა განვითარებლად შექმნილია უფრო ხელსაყრელი პირობები. ასეთ დარგებათ ითვლება— მეაბრეშუმეობა და მეცხვარეობა. ერთის მხრივ ჩვენში არსებობენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები და სწარმოებს მუშაობა მათ გასაფართოებლად და მრეწველობის პროდუქციის ... მ. უ. ს. მისცა 45000 მანეთის ლიცენზია: ამჟამად საზღვარგარეთ გაგზავნილია ს. მ. უ. ს. სპეციალისტი, რომელსაც სხვათაშორის, დავალებული აქვს შეიძინოს სატრიკოტაჟო ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა. სულ საზღვარგარეთ შეძენილი იქნება 67.000 მანეთის მოწყობილობა. სატრიკოტაჟო ქარხანა მოწყობილი იქნება მე-3 თამბაქოს ფაბრიკის შენობაში.

...

... მეებზე. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ფეიქარ-სპეციალისტები დაუყოვნებლივ იქნენ მიწვეულნი საფეიქრო სამრეწველოებში სამუშაოდ.

ს. ჩომახიძე საჭიროდ სთვლის, რომ მუშახელის მომზადებასთან ერთად სწარმოებდეს საინჟინერო-სატეხნიკო ძალთა ხელახალი გადამზადება მათი კვალიფიკაციის აწევის მიზნით. მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ სპეციალისტებს საშუალება ექნეთ დაათვალიერ... მრეწველობის განვითარების საქმეს.

შემდეგ სიტყვებით გამოდიან ამხ. გეურქოვა, ჩხეიძე, ახვლედიანი, სანოვიჩი, მატანიანი და სხვები.

კამათის და საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა ამხ. გ. ჟურულიშვილი.

კამათის და საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს რეზოლიუციის პროექტი ს. მ. უ. ს. მოხსენების გარშემო:

საქართველოს სახკომსაბჭოში

ტეხნიკურ განათლებისა და სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ტეხნიკური განათლების ფონდებით უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 4.162.392 მ. და 40 კაპეიკის რაოდენობით.

ამხ. ხვედელიძის განთავისუფლება თანამდებობიდან

ამხ. ხვედელიძე გამორიცხა ეკონომიურ საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან და განთავისუფლებულია ჭიათურის შავი ქვის ტრესტის მმართველის მოადგილის მოვალეობისაგან.

ამხ. ს. გოდაბრელიძის შეყვანა ეკონომიურ საბჭოში

ამხ. ხვედელიძის ნაცვლად ეკონომიურ საბჭოს წევრთა შემადგენლობაში შეყვანილია ამხ. ს. გოდაბრელიძე.

1927—28 წ. საბინაო მშენებლობის ფონდის განაწილება

1927—28 წ. საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანური ფონდი—58.300 მანეთი განაწილებული იქნა შემდეგნაირად: გურჯაანის საბინაო ამხანაგობას—3.000 მან., ცხინვალის—2.000 მანეთი, ხაშურის—5 ათასი მანეთი, ჭიათურის—8 ათასი მანეთი, სამტრედიის—7.000 მანეთი, სენაკის—3 ათასი მანეთი, ზუგდიდის 2 ათასი მანეთი, ოზურგეთის—5.000 მანეთი, გორის 3.300 მანეთი, ქუთაისის რკ. გზის საბინაო ამხანაგობას—10 ათასი მანეთი, და ქუთაისის საქსოვი ფაბრიკის საბინაო ამხანაგობას—10 ათასი მანეთი.

მუშათა ცხოვრება

დავიცვათ შრომის დისციპლინა

წარმოებაში, შრომის ნამდვილი მუშური დისციპლინა თავდებია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების გაჯანსაღებაგაფართოების. შრომის დისციპლინის დაცვის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი წარმოების საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ეს იცის ყველამ, დაწყებული უმაღლეს კვალიფიკაციის მქონე მუშიდან, გათავებული შავ მუშამდე. მაგრამ ბევრი მათგანი არ იცავს მას, ბევრს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია შრომის დისციპლინის მნიშვნელობა.

როგორ არის დაყენებული შრომის დისციპლინა ჩვენს წარმოებებში? უნდა ითქვას, ...

... სახალხო კვების კავშირს, რომელსაც 2.000 მეტი წევრი ყავს, დაეთმო სამი ოთახი და ბოლოს იმაზედაც უარს ეუბნებიან უქსის ხელმძღვანელები.

ის, რაც დღეს საბინაო სექციაში ხდება, არის ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების საუცხოვო მაგალითი და ამასთან ერთად საქმეზე მისულ მშრომელების აბუჩად აგდებაც, რასაც სათანადო ორგანომ დროზე უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

სახკვების კავშირის გამგეობის მოვალეობაა გადაჭრით მოსთხოვოს უქსის სამმართველოს მასზე დათმობილი ოთახების ანაზღაურება.

კენჯი.

...

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

8 ოქტომბრისათვის საქართველოში გასაღებულია 5.335.000 მანეთის ობლიგაცია

საქართველოს ფინსახკომის უკანასკნელ ცნობებით 8 ოქტომბრამდე მთელ რესპუბლიკაში გასაღებულია 5.435.000 მან. ობლიგაცია.

1-ლი ოქტომბრიდან 8 ოქტომბრამდე, ე. ი. ერთი კვირის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში გასაღებულია 554.000 მან. ობლიგაცია. აქედან გლეხებს შორის გასაღებულია 54.930 მანეთის ობლიგაცია.

სესხზე ხელის მოწერის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს თბილისს, სადაც ხელისმოწერა აღწევს 3.128.000 მანეთამდე. მეორე ადგილი უკავია რკინის გზებს (337.000 მანეთი), ხოლო მესამე ადგილი—ცალკე ავტონომიურ რესპუბლიკებს და მაზრებს.

აჭარისტანში გასაღებულია 752.000 მან. ობლიგაცია, აფხაზეთში — 312.000 მან. და სამხრეთ-ოსეთში 50 ათასი მან.

მაზრების მიხედვით: ქუთაისის მაზრაში—321.000 მან., შორაპნის — 175.000 მან., გორის — 295.000, ახალციხის — 89.000, ბორჩალოს —63.000 მან., ახალქალაქის — 52.000, თბილისის—23.000 მან., კახეთის—108.000 მან., რაჭა-ლეჩხუმის — 66.000 მან., სენაკის — 80.000 მან., ზუგდიდის — 78.000 მან, ოზურგეთის — 80.000 მანეთი და ფოთის რაიონში (ქალაქ ფოთით) — 58.000 მანეთი.

პროფკავშირთა მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გასაღება ცალკე პროფკავშირების ხაზით შემდეგ სურათს იძლევა:

მელითონეთა კავშირის ხაზით სულ დღემდე გასაღებულია 178.345 მან. ობლიგაცია. ამ თანხაში შედის თბილისის ელექტრო - მოწყობილობათა სამმართველოში ხელის მოწერით შეგროვილი თანხა — 38.020 მან. საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეებისაგან — 20.000 მან., ზაჰესის მუშა-მოსამსახურეთაგან — 17.055 მ., სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშებისაგან — 5.340 მან. და სხვ.

ქიმიკოსთა კავშირში გასაღებულია 48.630 მანეთის ობლიგაცია. აქედან მარტო ბორჯომის მუშეულობის ქარხნის მუშებმა გაასაღეს — 26.530 მან ობლიგაციები.

სამთო მადნო მუშაკთა კავშირმა ჭიათურიდან მიიღო ცნობა, რომ ჭიათურის მუშებმა ხელი მოაწერეს — 36.500 მანეთის ობლიგაციაზე.

გემო-კვების კავშირში გასაღებულია —204.977 მან. ობლიგაცია. ცალკე წარმოებებში ხელის მოწერა იძლევა შემდეგ სურათს: ლუდის ქარხანაში მუშა მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს — 9.210 მან. ობლიგაციაზე. მუშკოოპის მეორე პურის საცხობში — 15.335 მ. მეორე თამბაქოს ფაბრიკაში —32.000 მან., საგალეტო ფაბრიკაში — 4.320 მან.

პროფკავშირების დიდი სამხედრო ლაშქრობა

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობის ჩამტარებელი კომისიის დადგენილებით ლაშქრობა ჩატარებულ იქნება მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს.

ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებს 20 კავშირი.

მონაწილენი დაყოფილი იქნებიან ორ რაზმად: „წითლებად“ და „ლურჯებათ“.

„წითლების“ რაზმში შევლენ შემდეგი კავშირები: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა 300 კაცი, გემო-კვების—250 კაცი, აღმშენებელთა—150 კაცი, ტრანსპორტზე მომუშავეთა —50 კაცი, მიწა-ტყის—150 კაცი, ფეიქართა—50 კაცი, განათლების მუშაკთა—250 კაცი, მბეჭდავთა—250 კაცი.

„ლურჯების“ რაზმში—მელითონეთა — 200 კაცი, ქიმიკოსთა—50 კაცი, რკინის გზელთა—50 კაცი, მეტყავეთა—50 კაცი, მედსანშრომის—100 კაცი, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა—50 კაცი, მკერავთა—50 კაცი, ხელოვნების—25 კაცი, კომუნალურ მუშაკთა—300 კაცი, ხის დამმუშავებელთა—50 კაცი, სამთამადნო—50 კაცი და სახალხო კვების— 50 კაცი.

ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ წითელი ჯარის ყველა სახის ნაწილები, როგორიც არის არტილერია, ცხენოსანი ნაწილები, ჯავშნიანი ავტომობილები, კავშირი, ქიმიური ნაწილები, სასურსათო ქარავანი და სხვა.

28 ოქტომბერს, კუკიის ტბის მიდამოებში „წითლებსა“ და „ლურჯების“ მიერ ჩატარებულ იქნება შეხვედრითი ბრძოლა, ყველა საჭირო ზომების დაცვით და ბრძოლის საშუალებების გამოყენებით. შეხვედრითი ბრძოლა, გამოყენებული იქნება კავშირის წევრების გასაცნობათ სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლებთან. ამ ბრძოლით კავშირის წევრები გაეცნობიან აგრეთვე თანამედროვე ბრძოლის წარმოებას და ჯარის ტეხნიკური ნაწილების მოქმედებას.

„ლურჯების“ შესაკრებ პუნქტად დანიშნულია „დინამო“-ს მოედანი, „წითლების“—ყოფ. მე-5-ე გიმნაზიის ეზო ავლაბარში.

ლაშქრობას ხელმძღვანელობას გაუწევს კავკ. წითელ დროშოვან არმიის შტაბი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გაცემულ იქნება 300 თოფი მოლაშქრეებისათვის და ვაზნების საჭირო რაოდენობა.

მბეჭდავთა კავშირი ლაშქრობაზე გამოუშვებს გაზეთს საველე სტამბის საშუალებით.

შირაქის ნავთის გარშემო

შირაქში ნავთიანი ადგილების გამოკვლევითი სამუშაოთა დათვალიერების შემდეგ თბილისში დაბრუნდა რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ი. ყიფშიძე,



პირველი საცდელი ჭაბურღილი, საიდანაც ამოხეთქა ნავთის შადრევანმა

—:—

რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა დაწვრილებითი ცნობები შირაქში ამოღებულ ჭაბურღილიდან ნავთის შადრევანის ამოხეთქის შესახებ.

ინჟ. ყიფშიძის ცნობით, შაბათს, 6 ოქტომბერს, ჭაბურღილის ამოსაღები სამუშაოები უნდა შეწყვეტილიყო საღამოს 8 საათზე, მაგრამ მუშებმა აღნიშნულ დროს ცოტა გადააცილეს და მუშაობა განაგრძეს. დაახლოებით საღამოს 9 საათზე ჭაბურღილში ჩაშვებული მილებიდან მოისმა გუგუნი და მოულოდნელად ამოხეთქა ნავთის შადრევანმა. შადრევანის მოქმედება გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი. ნავთიანი ფენიდან გაზები ისეთი სიძლიერით ამოდიოდა, რომ 540 მეტრის სიღრმეზე ჩასხმული წყალი ადვილად ამოჰქონდა. შადრევანის ამოხეთქის შესახებ მუშებმა შეატყობინეს სამუშაოთა ადმინისტრაციას, რომელმაც სამუშაოები დაათვალიერა კვირა დილით და გადაწყდა, რომ მუშაობა დროებით შეეჩერებიათ, რადგან ნავთის აღმოჩენის შემდეგ სხვა სისტემითაა საჭირო ბურღვა.

სამშაბათს, დილის 9 საათზე ჭაბურღილიდან ხელახლა ამოხეთქა ძლიერმა შადრევანმა, რომლის სიმაღლე აღწევდა 12 მეტრზე მეტს შადრევანის მოქმედება გაგრძელდა 30 წუთი და შესწყდა იმიტომ, რომ ჭაბურღილში დადგმული ხელსაწყოები მოხსნეს.

ჭაბურღილიდან შადრევანის ამოხეთქა შემდეგ პირობებში მოხდა: შაბათს საღამოს მუშაობის დროს მიწის საბურღავმა ხელსაწყოებმა მიაღწიეს ნავთიან ფენამდე. როგორც შადრევანის ხასიათიდან ირკვევა, საბურღავი ფენას შეეხო ოდნავ, თორემ, რომ ფენა გათხრილი ყოფილიყო ერთბაშათ რამოდენიმე მეტრზე, შემდეგ შადრევანის შეჩერება ძნელი გახდებოდა და ნავთი დაიღვრებოდა. კონცესიონერმა ჭაბურღილის გაღრმავება შეაჩერა შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ერთი წინასწარ უნ და გაკეთდეს ნავთის შესანახი რეზერვუარები და შემდეგ მომარაგებული უნდა იქნეს ნავთიანი ფენის გასაბურღავათ საჭირო მოწყობილობა.

ნავთის ძლიერი შადრევანის მისაღებათ საჭიროა ჭაბურღილის გაღრმავება კიდევ 5—10 მეტრამდე. როდესაც ყველა საჭირო ხელსაწყოები მომარაგებული იქნება, ჭაბურღილის გაღრმავება შესაძლებელი იქნება რამოდენიმე დღის განმავლობაში.

კომუნალური მშენებლობა თბილისში

(თბილისის აღმასკომის კომუნ. განყ. ღონისძიებები)

წყალსადენი

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ცნობით მიმდინარე წელში, დაახლოებით ნოემბრიდან, ახალი წყალსადენის გასაყვანად დაიწყება საფუძვლიანი მუშაობა. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სავსებით დამთავრებულია.

... განზრახულია ელბაქიძის აღმართის გაფართოება. აღმართის გაფართოება მოხდება შემდეგი სახით: გაფართოება დაიწყება ვერის ხიდიდან მარჯვენა მხრით ცირკის ეზოზე გავლით ახანოვისეულ სახლის ყურემდე. შემდეგ ქუჩა გაფართოებული იქნება მარცხნივ მდებარე ხევის ამოვსების საშუალებით გასწვრივ ...

...

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 63

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიისა

საბჭოთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობის გაფართოების შესახებ

საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, სამეურნეო, საფინანსო, კულტურული და ადმინისტრატიული ხასიათის მორიგი საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტისა, ამ ორგანოების თვითმოქმედების განვითარებისათვის ხელისშეწყობისა, საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასის ჩაბმისა და საბჭოების ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

...

I. ადმინისტრაციულ და სამეურნეო მმართველობის დარგში

...

II. საბაჟეთო მართველობის დარგში

...

III. სახალხო განათლების დარგში

...

განმანათლებელ დაწესებულებათა უშუალო ხელმძღვანელობა, რომელნიც მის გამგებლობაში იმყოფებიან და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებას საერთო ხელმძღვანელობა, როგორც საორგანიზაციო და ადმინისტრატიულ, ისე სამოსწავლო და სამეთოდო სფეროში.

შენიშვნა 2: განათლების სახალხო კომისარიატი მთლად ტეხნიკუმების ...

...

შენიშვნა 1: განათლების სახალხო კომისარიატის ხელში დარჩება იმ კულტურულ- ... ბულებათ მიეცეს ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვისა და კრედიტის განმკარგულებელთა უფლება.

...

27. სამაზრო და საქალაქო სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა კრედიტების განმკარგულებელი უფლება მიეცეს განახორციელონ აღნიშნულ დაწესებულებათა მედიკამენტებით მომარაგება შესყიდვით და შეკვეთით ს. ს. რ. თაღრიცხვი ასიგნობის ფარგლებში.

28. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალის (საექიმო, სასანიტარო-სამედიცინო და პასუხისმგებელი (სამეურნეო) დანიშვნა, დათხოვნა და ...

...

IV. შრომის დარგში

...

V. სოციალური უზრუნველყოფის დარგში

...

VI. ადგილობრივი ბიუჯეტის დარგში

...

... ბითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

40. თემისა, ქალაქისა ან მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათ, სათანადო აღმასკომების დადგენილებით, მიენიჭოს კრედიტის მესამე ხარისხოვანი განმკარგულებლის უფლება.

41. უფლება მიეცეს სამაზრო და სათემო აღმ. კომიტეტებსა და სათემო საბჭოების პრეზიდიუმებს მათ სალაროში შესული სა...

...

VII. ადგილობრივი მეურნეობის დარგში

...

VIII. სოფლის მეურნეობის დარგში

...

IX. სახელმწიფო სავაჭრო დარგში

...

ღონისძიებები მეაბრეშუმეობის განსავითარებლად

(ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილება)

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო გაეცნო ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებს ამიერ-კავკ. აბრეშუმის მრეწველობის გამოკვლევის შესახებ და აბრეშუმის მრეწველობის შემდგომ განვითარებისათვის საჭიროდ სცნო მთელ რიგ ღონისძიებათა მიღება.

საქართველოს და აზერბეიჯანის ეკონომსაბჭოებს წინადადება მიეცა 1 თვის განმავლობაში განსაზღვრონ მიწადმოქმედების სახკომისარიატის და აბრეშუმის ტრესტის ფუნქციები აბრეშუმის მრეწველობის საადმინისტრაციო აგრიკულტურულ დარგში.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი, აბრეშუმის თესლის დამზადების საქმე სავსებით გადაეცეს მიწადმოქმედების სახკომისარიატს, რომ 1930 წლისათვის აბრეშუმის მრეწველობას შეეძლოს უარი სთქვას კერძო პირთა მიერ დამზადებულ თესლზე. თესლის ღირსების გაუმჯობესებისა და ჯიშიან თესლის მოხმარებაზე სავსებით გადასვლის მიზნით, რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოებს წინადადება მიეცა დაავალონ მიწ. სახ. კომისარიატებს გაძლიერებული იქნეს საგრენაჟო და სააბრეშუმო სადგურების მუშაობა ჯიშიან თესლის დამზადების დარგში. საპერსპექტივო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს თესლის ინკუბაციის სრული გატარება უახლოეს 2 წლის განმავლობაში.

გარდა ამისა რესპუბლიკანურ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებს ...

...

[illegible]

ქრონიკა

ახალგაზრდათა შორის მომუშავეთა თათბირი

27 ოქტომბრისათვის საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში დანიშნულია ახალგაზრდათა შორის მომუშავეთა თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში შემდეგი მოხსენებებია: პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მჭედლიძისა—„წარმოებებში არსებულ პროფორგანოების შესახებ თვითკრიტიკის გატარებასთან დაკავშირებით", ამხ. ელბაქიძისა და ამხ. ცხაკაიასი—ტექნიკური განათლება საქართველოში სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით". და „პიონერთა სექციის მუშაობა".

ამერიკელი ინჟინერების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ „ჯენკინსის" ფირმის წარმომადგენელი ინჟ. ე. ჩოუენდერი და „იაბეტ და რეინგოლტის" ფირმის ინჟინერი რეინგოლტი. ისინი მოწვეულნი არიან ბაქოში „აზნეფტის" ახალი ქარხნის ააშენებლად და ჭაბურღილების ამოღების სამუშაობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ამერიკელი ჟურნალისტის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკულ გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი ნეგლი ფარსონი.

უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი

სამშაბათს, 16 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის პლენუმი. პლენუმზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) კომისიის მიერ 1927—28 წელში ჩატარებულ მუშაობის ანგარიში, 2) განათლების კომისარიატის მოხსენება—მომავალში ბავშვთა უმწეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 3) ბავშვთა კომისიის მომავალი მუშაობის გეგმა და სხ.

წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტების კონფერენცია

ავტონომიურ რესპუბლიკების წითელი ჯვრების, წითელ ნახევარ მთვარის და სამაზრო კომიტ. თავმჯდომარეთა კონფერენცია შესდგება არა 15 ოქტომბერს, როგორც ეს გამოცხადებული იყო, არამედ 18 ოქტომბერს.

ფერადი მარმარილო

სამხრეთ-ოსეთის ლეფანის ხეობაში და ახალ გორის რაიონში აღმოჩენილი იქნა ფერად მარმარილოს მადანი. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა შეუდგეს აღნიშნულ მადნის შესწავლა-გამოკვლევას.

თბილისის აღმასკომში

◆ სატრიკოტაჟო ხელ-აქების სკოლა. განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ერთ-ერთი პროფსკოლა გადააკეთოს სატრიკოტაჟო ხელსაქმის სკოლად.

◆ კინო. პოლიტგანმა მაზრისათვის შეიძინა ერთი კინო-აპარატი. წელს სულ მაზრაში იმუშავებს 4 კინო.

◆ წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად პოლიტგანმა გადასწყვიტა მაზრაში არსებულ ლიკპუნქტების რიცხვი გაადიდოს 160-მდე.

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. განათლების განყოფილებამ გომბორში გახსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

ჯანსახკომში

◆ ტროპიკულ სნეულებათა სტაციონალური ინსტიტუტის მოსაწყობათ ჯანსახკომმა მთავრობიდან მიიღო 100.000 მანეთი.

◆ პედოლოგიური ინსტიტუტი. ჯანსახკომმა გადასწყვიტა თბილისში გახსნას პედოლოგიური ინსტიტუტი. ასეთი ინსტიტუტი პირველად იხსნება საქართველოში.

სხვადასხვა

◆ სანიმუშო ჩაის საბჭოთა მეურნეობა „საქართველოს ჩაი"-მ გადასწყვიტა გალის მაზრაში (აფხაზეთი) მოაწყოს ჩაის სანიმუშო საბჭოთა მეურნეობა.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ახალციხიდან—იოანიდის, ახალსოფლიდან — საკინჯალოვს ხოჯუნთიდან—ოგანოვს, ბაქოდან — ზილოძეს.

სტიპენდიანტთა საერთო კრება

დღეს, საღამოს 5 საათზე შესდგება სტიპენდიანტთა საერთო კრება.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ ხელოვნების მთავარმმართველობის თეატრო-სამუსიკო განყოფილების გამგეთ დანიშნა აკაკი ფალავა.

◆ ახალი პიესა. ქუთაისის აკადემიურმა დრამამ დასადგმელად მიიღო შალვა დადიანის ახალი კომედია: „კაკალ გულში".

◆ ქუთაისის აკადემიურ თეატრის სეზონი გაიხსნება 1 ნოემბერს.

სასამართლო

ღირსეული სასჯელი მიწის კანონის დამრღვევთ

განა მოქ. იუსტინე ჩუბინიძემ, ან სერაპიონ ჩაჩუამ, ან კიდევ გერასიმე ამაღლობელმა არ იცოდენ, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია და მკაცრად ისჯება საბჭოთა ხელისუფლების კანონით!

რასაკვირველია, იცოდენ. საბჭოთა საქართველოს რომელმა მოქალაქემ არ იცის ამ კანონის შესახებ.

მაგრამ არიან ისეთი პირები, რომლებიც, ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ყოველ კანონს საიდუმლო „შემოსავლელი გზით" გვერდს აუვლიან და შავს თეთრად მოაჩვენებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს.

აი სწორედ ასეთი პირები აღმოჩნდენ გომის თემში (სამტრედიის რაიონში).

ესენი გახლავთ იუსტინე ჩუბინიძე, სერაპიონ ჩაჩუა (ყოფილი მღვდელი) და გერასიმე ამაღლობელი.

იუსტინე ჩუბინიძეს „აწუხებდა" ზედმეტი მიწა, რომლის დამუშავებას ვერ ახერხებდა და თანაც იმისი ეშინოდა, რომ დღეს თუ ხვალ ჩამოართმევდენ, როგორც ნორმაზე მეტს.

ჩუბინიძეს უნდოდა, როგორმე „გაეპარებია" ეს მიწა ისე, რომ გაყიდვათ არ ჩაეთვალა ვინმეს, უნდა დარჩენილიყო ისეთი შთაბეჭდილება, რომ დროებით აქვს „გაქირავებული".

მიწის მუშტარი გამოჩნდა ყოფ. მღვდელი სერაპიონ ჩაჩუა, რომელმაც 105 მანეთი დაუთვალა ჩუბინიძეს, როგორც „ავანსი" მიწის ფასის ანგარიშში.

გაქექილი მღვდელი არა ნაკლებ „გამჭრიახობას" იჩენს. თუ საქმე წახდა და მათი ოინი ხელისუფლებამ გაიგო, ჩაჩუამ რაზე უნდა დაჰკარგოს თავისი ფული! დეე, ჩუბინიძემ იზარალოს!

ამიტომ ჩაჩუა აკეთებს ქაღალდს, ვითომ მან ჩუბინიძეს ასესხა 105 მანეთი და როგორც გარანტია (!), დაიგირავა მისგან ერთი ნაკვეთი მიწა.

ეს მოხდა 1926 წლის მარტში. ეს ერთი ნაკვეთი მიწა ხომ გაასაღა ჩუბინიძემ! ეხლა კიდევ აქვს გასასაღებელი საძოვარი ადგილი.

ამის მუშტარიც გამოჩნდა. ეს იყო გერასიმე ამაღლობელი.

აქ კიდევ უფრო შორს მიდის მიწით მოვაჭრეების სიფრთხილე ხელისუფლების თვალის ასახვევად.

ჩუბინიძემ მიიღო ამაღლობელისაგან 125 მანეთი და გააკეთა ისეთი ხელშეკრულება, თითქოს თვიურად გაქირავა საძოვარი ოცი-ოც მანეთად თვეში და რამდენიმე თვის ქირის სახით მიიღო ეს თანხა.

ხელისუფლებამ არ გამოეპარა მათი თაღლითობა და სამივე მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

საინტერესოა ამ ამბის დასასრული.

გამყიდველსაც და მყიდველსაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თვითეულს 1 წლით და 1 თვით. მიწები გადაირიცხა გომის თემის სადგილ-მამულო ფონდში, ხოლო ის 225 მანეთი, რომელიც ჩუბინიძემ აიღო მიწებში, მიემატა გომის თემაღმასკომის სალაროს.

—:—

გაფლანგვა სახალხო კვების მუშაკთა ადგილკომში

ა-წ. აპრილში საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების წინადადებით გამოიყო სპეციალური სარევიზიო კომისია, რომელსაც დაევალა სახალხო კვების მუშაკთა № 2 ადგილკომის მუშაობის გადასინჯვა.

კომისია ისეთ ქაოსს წააწყდა ადგილკომში, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა შემოსავალ-გასავალის სწორი სურათის აღდგენა. არ იყო სანგარიშო დავთრები, დაკარგული აღმოჩნდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა № 1 ადგილკომშიაც.

ბევრი შრომისა და თავის მტვრევის შემდეგ სარევიზიო კომისიამ ექსპერტების დახმარებით გამოიტანა ასეთი დასკვნა: პეტრე გრიგოლის ძე ვოსკანოვს, რომელიც 25-26 წ. 18 ოქტომბრამდე ითვლებოდა № 1 რაიადგილკომის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ამა წლის მაისამდე მუშაობდა № 2 რაიადგილკომში. იმავე თანამდებობაზე, გაუფლანგავს 1.053 მანეთამდე.

ვის ფულს ფლანგავდა ადგილკომის თავმჯდომარე? — მოსამსახურეების კუთვნილ ხელფასს.

მოვიყვანოთ მაგალითები. გასულ წელს კავშირის წევრი ექვთიმე ლეშკაშვილი, რომელიც ქარსელაძის სასადილოში მუშაობდა, უკანონოდ იქნა დათხოვნილი, ადგილკომმა გაასაჩივრა ეს საქმე და მოიგო. ლეშკაშვილს ერგებოდა 350 მანეთი. ვოსკანოვმა აიღო ეს ფული 150 მანეთი თავისთვის დაიტოვა და მხოლოდ 200 მანეთი მისცა ლეშკაშვილს.

ასეთივე საქმე უყო ვოსკანოვმა კავშირის წევრებს ემელიანოვას, ზაალიშვილს. უკანასკნელს კუთვნილ 106 მანეთის მაგიერ გადასცა 67 მანეთი.

ასეთი მაგალითები მრავალია.

ივანე ალექსის ძე გოგვაძეს, რომელიც № 2 ადგილკომის მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა, გაფლანგული აღმოაჩნდა 277 მანეთი. გარდა ამისა გოგვაძეს 13 დღის ხელფასი მიუღია ორ ადგილას: თავის დაწესებულებაშიაც და ადგილკომის სალაროში აც, რომელზედაც ის ამ ხნის განმავლობაში გადარიცხული იყო. გაბრიელ დავითის ძე ჯმუხაძეს, რომელიც № 1 ადგილკომის მდივნად ითვლებოდა 1924-დან 28 წლის მაისამდე დაკარგული აღმოაჩნდა სალაროს წიგნაკი და ყველა დოკუმენტები, ასე რომ შეუძლებელი გახდა შემოსავალ-გასავალის გასინჯვა.

ასე მუშაობდენ სახალხო კვების მუშაკთა №№ 1 და 2 ადგილკომები.

პეტრე ვოსკანოვი, ივანე გოგვაძე და გაბრიელ ჯმუხაძე პასუხისგებაში არიან მიცემული.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

ბ.ლ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება ხიძა ხელზე

დღეს, 13 ოქტომბერს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ნიკოლოზ ქოიავა, სარქის ხერიიანი, სედრაკ დედუკოვი, ლეონიდ სახნინი, ვასილ ასველაშვილი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ათანასე ნიკიტინი, მიხეილ იმედაშვილი, ვიაჩესლავ ტორგაშკოვსკი, ედუარდ ფიშერი, მიხეილ ზაპოროჟცევი, ხაჯულ სევიჩი, ვლადიმერ ბერთაშვილი, ელისაბედ კოჩაროვა, რიმა აჯანოვა, ბერტა ლანგენმეიერ, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, გიორგი მირზაშვილი, ევგენია ულრიხ-აბრამოვა, ლიუბა ახობაძე, ბესარიონ გვაზავა, იოსებ ყანჩელი, ელენე გორდიანოვა, ოლიმპიადა სტროსკაია, გრიგოლ ყუფარაძე, ელენე სოლოვა, ნინო მანდენოვა, ლეონ ოსმანცევი, გიორგი ბუმბულაძე, ვასილ მანჯგალაძე, ნინო წერეთელი, კლავდია მარტინენკო, მარგარიტა ოსიპოვა, კლავდია მატიენკო.

შავ მუშათა სექციიდან: ვალია სამადუროვა, მარიამ იაკოვენკო, სერგო ბაბაიანცი, ნესტორ ჩხეიძე, ივანე ხოლოპოვი, ვარია ლიმერი, გიორგი მაჭავარიანი, ილია ბატკუაშვილი, ოვანეს გრიგორიანი, კაზარიანი, ძმოიანი, ბიძინა გაბისაძე, ალექსანდრე ჩეჩელაშვილი, სიმონ ჯებურიძე, ვართან მირიანაშვილი, ვასილ ჭოჭუაშვილი, ამბროსი მეძმარიაშვილი, არჩილ კაკაშვილი და უ. მიქაძე.

რკინის გზელთა სექციიდან: გიორგი მელაძე, ალექსანდრე გრძელიშვილი, მიხეილ წოწუაშვილი.

მედსექციიდან: შალვა მესხიძე, არკადი ვაპოროვი, თამარა გოციელოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 13 ოქტომბერს, დილის 9 საათზე საქ. კომპარტიის ცკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის ბრძოლის საკითხის განსახილველად. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების: მარიამ ორახელაშვილი (განათლების კომისარიატი), იმედაძე (მთავპოლიტგანი), ხუციევი (თბ. პოლიტგანი), მხითაროვი (საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), ჯავახიძე, ბუჯიაშვილი (კომკავშირის ცკა), იარალოვი, გოგებაშვილი (ცაკავშირი), სტეპანოვი (ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოება), ბოკერია („წერა - კითხვა"), ლისოვსკი (ამ.-კ. კომ. უნივერსიტეტი), ჯაფარიძე (ცკას ქალთა განყოფილება), არუთინოვი (სოფლად მუშაობის განყოფილება), სიხარულიძე (მიწა-ტყის კავშირი).

—:—

დღეს, 13 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე შესდგება საქ. კომპარტიის ცკას მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების კოლეგიის სხდომა. ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ს. შავერდოვა, მარიამ ორახელაშვილი, ნ. ტაგიევ, ა. მახარაძე, ტ. დავითაძე; ლ. ანდრიაძე; ქართველიშვილი, მებუკე; გეგეშიძე; შალამიანი; ედიგაროვა; პ. აღნიაშვილი; მამულოვ; პოტოევ; იმედაძე; ფრანგულიანი, ბელიაევსკაია და ყველა მუშა-ქალები, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ გაგზავნილნი საძოვრებზე (ბორჯომში ,ახალქალაქში და ახალციხეში) და იმყოფებიან თბილისში.

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ლენ. რაიკომის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ, დღეს, 13 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე; რაიკომის შენობაში მოწვეულია მთლიან პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი. ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ, კვირას, 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, რაიკომის აგიტპროპგანყოფილების ბინაზე შესდგება ანტირელიგიური პარტიული თათბირი ,რომელზედაც მოწვეულია კომუნისტი — მასწავლებლები, უღმერთოთა კავშირის სარაიონო საბჭოს ფრაქციის წევრები და ა. ლ. კ. კ. რაიკომის პრეზიდიუმის წევრები:

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის „26 კომუნართა" სახელობის რაიკომი იუწყება, რომ, კვირას, 14 ოქტომბერს, დილის 9 საათზე; რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1) შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ილიკო მძინარიშვილი, პეტრე მურადოვი, ბიკენტი ნაგდალიძე, გაბრიელ ნაშალაშვილი, გიორგი მურადოვი; პავლე იგნატიევი, ადდრანიკ მელკუმოვი; შამირ არუთინოვი; ლეონ არუთინოვი; აიკანუშ მალხასიანი; ალექსანდრე ბაგდასაროვი; მიკიჩ არუთინოვი; სარქის ტერ – ოგანეზოვი, ანეტა დედეიანი, გურგენ ჩარუხჩიანი; სურენ ხალათოვი; შამიკონ სტეფანოვი; აშოტ ხაჩატუროვი; გიორგი კირაკოზოვი;ოლღა მოდებტოვაჩი, თერანიკ აბაჯიანი; იოსებ სურმაჩი; ვასილ კანდელაკი; გიორგი დალაქიშვილი; გიორგი ტერ-არუთინოვი; არტემ ბაბიჩაძე; იოსებ მალიავსკი; შალვა სვიმონიშვილი; ნიკოლოზ კაბაჯიანი; მოსე შმულევიჩი; ივანე სადუაშვილი, გიორგი ხონიკაშვილი, გიორგი სოლოღაშვილი, მიხეილ გენაშვილი, იოსებ ბაშაძე, ზაქრო მაზლიაშვილი, ტერ - ბარსეგოვი; აკაკი სიორდია, ზაქრო ირემაშვილი, ვასილ ქართველიშვილი, პეტრე ჯარანგელია; პეტროს ამირხანოვი; გალაქტიონ კობერიძე, ვლადიმერ ვარამაშვილი, გიორგი მარტიროსოვი, რომანოზ კობერიძე, ნიკოლოზ გაშლია, ჯღამაძე, ვასილ ქურხული; არმენაკ მატინიანი; ავეტიკ შომაროვი, სურენ სუმსარიანი, გურგენ კაზანჯიანი, კარაპეტ ერემიანი; ტიგრან დანილოვი ,თედორე პეტროვი, ვახტანგ ძიპიტაშვილი, გურგენ კარაპეტიანი; ავეტის სრაბიანი; აგუნიკ არმაგანოვი, აშოტ კალაშევი; სიმონ გრიგორიანი, გრიგოლ სააკიანი, ხაჩატურ პოლოსოვი, მკრტიჩ სააკიანი; ამაიკ კაზაროვი; ერანოს მორესიანი, ანდრონიკ კარაპეტიანი; ვართან ბადეიანი, სპირიდონ კბილუცაშვილი; სერგო მარკაროვი; იოსებ მაქარაშვილი; კონსტანტინე ოგანეზოვი; ნიკოლოზ ბაიდაური; აკაკი ბუაძე; მარო ჯღერია, ივანე წითლაური, ალექსი ქავთარაძე, დავით ყუფარაძე; მ. მელქაძე; ერვანდ მირაშვილი; ვასილ ბალდასაროვი და მახარაძე.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: შალვა ცაგურია; ფეოკ ლიფანოვი; ისაკი ნიჟაბაძე, ილია მარიაშვილი; სტეფანე ნადური, არშაკ აკოპოვი, არტაშეს სოგომონოვი, ლიუბა ანდრეევა, ვასილ როსტიაშვილი, ივანე ასათიანი, მირიან თოდრია, დიმიტრი ბურჭულაძე; ნინა კუშიტაშვილი; ბიძინა ამაშუყელი; გიორგი ბაქრაძე, არჩილ ოქროპირიძე; კლიმენტი აბაშიძე, დ. ფარცხალაძე; სათ. იუზბაშევა, ა. კობახიძე; ანდრონიკ ოგანეზოვი; ხაჩატურ ბაბაჯანოვი; სერგო პატარქალიშვილი, მარო ჭუმბურიძე; სიმონ კურტანიძე, ლიუბა ეჯიბია, გრიგოლ ცხვედიანი, ...

საქ. ლენ. კომკავშირის ცკასთან არსებული შრომისა და განათლების განყოფილება იუწყება, რომ, ორშაბათს, 15 ოქტომბერს; დილის სრულ 10 საათზე, დანიშნულია შრომისა და განათ. განყოფ. კოლეგიის სხდომა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ: ჯავახიშვილი, მასლოვი, ეგოროვი, ქელიძე, შავგულიძე, დონდუა; არჩვაძე, აბულაძე; კობახიძე; ლეკვეიშვილი, კაპანაძოვი, ბარძიმაშვილი; გოცირიძე; აბდუშელიშვილი; ამინევი, კერესელიძე; მდივანი, ცხაკაია, ნესტოროვი, ქრიაძე; დავლიანიძე; აჯიბეგაშვილი, ჯაჭი; ნარიმანაშვილი; კალანდაძე; ბემიაშვილი; უნგიაძე, დავიდოვი და ბოკერია.

—:—

საქ. ა. ლ. კ. კ. ლენრაიკომი იუწყება, რომ კვირას, 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე; რაიკომის შენობაში შესდგება საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები: გვენეტაძე და მუზაშვილი (ტრამვაის მოძრაობის უჯრედიდან), მამულაიშვილი (საქონლის სადგურიდან), ვლ. წეროძე და სანაკოევი (რკ. გზ. საქართველო-სადაზბჟოო სკოლა), შალვა უჯმაჯურიძე (საქ. სადგურიდან), თინაბელ გძელიშვილი (მაღალი ტიპის სკოლიდან), ცუცქირიძე (საამშენებლო ტექნიკუმიდან), ნიკოლოზ გოგოლაძე და ნაზარბეკოვი (მე-6 შრ. სკოლიდან), ანნა დოლიძე (საქ. სადგურის უჯრედიდან), დანელია (სამეურნეო სახელოსნო), აღაჯანოვი (საქ. საფ. სკოლა); ოსიტაშვილი, ელენტი, მეტრეველი და გოგიაშვილი (მე-5 პროფსკოლიდან).

—:—

სახ. უნივერ. სოც.-ეკონ. ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი: ვასილ ჩიჩინაძე, კალისტრ. კბილაძე; ვალოდია კობახიძე; დავით ხანთაძე; სევერიანე რობაქიძე; სევერიანე ბუაძე; სიხარულიძე; ქიშმარიშვილი; ევდოკიმე ეწყაძე; გურგენიძე; სხირტლაძე; ილია აღნიაშვილი; ლადო ცაგარეიშვილი; იაკობ მონავა; კვანტალიანი; აპოლონ ნუცუბიძე; გრიგოლ კაკაბაძე; უგრეხელიძე; სერგო ქუთათელაძე; დიმიტრი შადაძე და ყველა ის კომკავშირელი და პარტიული ამხანაგები, რომელთაც მიმდინარე წელს დაამთავრეს სოც.-ეკონომიური ფაკულტეტები, უნდა გამოცხადდენ დღეს; საღამოს სრულ 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში.

—:—

თბ. სახ. უნივერ. არსებულ ა. ლ. კ. კ. ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 13 ოქტომბერს; საღამოს 5 საათზე; შესდგება სახ. უნივერ. აგრ ფაკულტეტის და ლენინის სახელობის პოლიტექნიკურის, აგრონომიული ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროების გაერთიანებული სხდომა. დასწრება ბიუროს წევრთათვის სავალდებულოა.

—:—

ს.კ.პ. (ბ) ცკას სოფლად მუშაობის განყოფილება შაბათს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ცკას სოფლად მუშაობის განყოფილებაში იწვევს თათბირს. დღის წესრიგი: 1. სასოფლო-სამ. მუშაკთა და მოჯამაგირეთა შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ. ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: სიხარულიძე (მიწა-ტყის კავშირი) მელიქაძე (მიწა-ტყის კავშირი), მეგრელიძე (მიწა-ტყის კავშირი), გოგვაძე (მიწა-ტყის კავშირი), ათოევი (საქ. შრომის კომისარიატი); სოსანაშვილი (საქ. შრომის კომისარიატი), უნგიაძე (საქართველოს შრ. კომ.), ოგანოვი (სახ.-სამ. შრ. ინსპექ.), ბეღელაძე (ს.კ.პ (ბ) თბ. კომიტეტი), ნესტოროვი (ს.ა.ლ. კ.კ ცკა), კუხალეიშვილი (სახ. მამულის ტრესტი), ჩერქეზიშვილი (საქართ. კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ. ქალთა განყ.), ფირცხალავა (საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილება), პიტოევი (საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ. ნაც. უმც. განყოფილება), ნარჩემაშვილი (საქართველოს სოციალურ დაზღვევის კომიტეტი).

—:—

დღეს 11 საათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ალამიანი (თბ. კომიტეტი), მესროპოვი (ამიერ-კავკ. საოლქკომი), ბიბინეიშვილი (სახელგამი), ბელიაევსკაია (თბილისის კომიტეტი), დემეტრაძე (ცენტ. კომიტ. აგიტპროპგანყოფილება განყ.), ქყონია („კომუნისტი"), სიხარულიძე („მუშა"), რახმანი („რაბ. პრავდა") და ბარათაშვილი („ახალი სოფელი").

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 13 ოქტომბერს, დღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

როგორ ღებულობენ სპეკულიანტები ფართალს

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიებიდან კერძო პირებს სპეკულიაციის მიზნით გააქვთ ფართლეული. ვინაიდან მაღაზიებიდან ფართლეულის გატანა არ შეუძლიათ კერძო პირებს, ისინი მიმართავენ სხვადასხვა მახინაციებს და ყალბი წიგნაკებით, ხშირად ნაცნობობითაც ახერხებენ საქონლის გატანას.

სამწუხაროდ თვით კოოპერატივის ზოგიერთი ნამდვილი წევრებიც ხელს უწყობენ ამ საქმეში კერძო პირებს.

შემჩნეულია, რომ კოოპერატივის ზოგიერთი ულირსი წევრი კოოპერატივიდან ნაღდზე და ნისიათ გატანილ ფართლეულსაც აწვდის კერძო ვაჭრებს, რომლებიც შემდეგ ამ საქონელს სამმაგ ფასებში ყიდიან.

არსებული წესით, მუშკოოპის მაღაზიებიდან წევრებს ფართალი ეძლევა განსაზღვრული რაოდენობით. ასეთივე წესით სწარმოებს ფართლეულის გაცემა საფეიქრო სინდიკატის მაღაზიებიდანაც. მაგრამ ამ მაღაზიებიდან ფართლეულის მისაღებად საჭიროა პროფკავშირის წევრობის ან დასაზღვევი წიგნაკის წარდგენა. წიგნაკებში მაღაზიის თანამშრომლები აღნიშნავენ გაცემულ საქონლის რაოდენობას და დროს. როგორც მუშკოოპის ზოგიერთი წევრები, ისე სინდიკატიდან საქონლის შემძენი პირები საქონლის განმეორებით გატანის მიზნით ხშირად წიგნაკებში შლიან მიღებულ საქონლის რაოდენობას და რიცხვს.

ასეთ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ შესაფერი ზომების მიღებას უკვე შეუდგა თბილისის აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილება, რომლის ერთ-ერთმა ინსპექტორმა გუშინ დილით საფეიქრო სინდიკატის მაღაზიაში დააკავა პროფკავშირის ერთი ყალბი საწევრო წიგნაკი. წიგნაკის პატრონმა მოასწრო მიმალვა.

წიგნაკში აღნიშნულია, რომ წიგნაკი ეკუთვნის ვინმე „პელაგია პროკოფის ასულ ვასილიევას, რომელიც არის შინა-მოსამსახურე, ჯამაგირი აქვს 7 მან. და ცხოვრობს სოლომონოვის ქ. №4". წიგნაკის შუა გულში მოთავსებულია ქალისა და ორი ბავშის სურათი „სათანადო ბეჭდის დასმით". დაკვირვების შემდეგ ნათელი ხდება, რომ „ბეჭდათ" ნახმარია შაურიანი.

გამოირკვა, რომ აღნიშნული სახელის და გვარის მოქალაქე სრულებით არ ცხოვრობს არა თუ სოლომონოვის ქუჩაზე, არამედ მთელ ქალაქში. წიგნაკში მოთავსებული სურათი შეძენილი უნდა იყოს ბაღებში მომუშავე ერთ-ერთ ფოტოგრაფიიდან.

წიგნაკის იმ ფურცელს, რომელზედაც ინიშნებოდა წაღებულ საქონლის რაოდენობა, ეტყობა გადანაშალი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად.

რ.

ქუნთრუშა და ხუნაგი

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიურ ქვე-განყოფილების ცნობით ქალაქში შემჩნეულია ქუნთრუშით დაავადების შემთხვევების ზრდა. უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს აგრეთვე ხუნაგით დაავადების ხშირ შემთხვევებს.

ავადმყოფობათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად მთელს ქალაქში უკვე სწარმოებს აცრა და მიღებულია წინასწარი სანიტარულ-პროფილაქტიური ზომები.

კოჯორის და მცხეთის საბავშვო სახლებში სავსებით დამთავრდა აცრა, რის გამო უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ საბავშვო სახლებს ბავშვებს შორის სრულებით არ ჰქონია ადგილი ქუნთრუშით და ხუნაგით დაავადების შემთხვევებს.

ქალაქში აცრა სწარმოებს სკოლებში და სპეციალურად გამოყოფილ პუნქტებში. მასიურ აცრის ჩატარებას აფერხებს ის გარემოება, რომ აცრას არა აქვს სავალდებულო ხასიათი. ამიტომ ახლო ხანში მუშათა კლუბებში და წარმოებებში ჩატარებული იქნება სპეციალური ლექცია-მოხსენებები აცრის სასარგებლოთ.

აღსანიშნავია, რომ მშობლები გაურბიან დაავადებულ ბავშვების მოთავსებას საავადმყოფოში, რითაც ხელს უწყობენ სენების გავრცელებას.

მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველოში და კერძოთ თბილისში ქუნთრუშის და ხუნაგით დაავადებას არა აქვს ეპიდემიური ხასიათი.

ამიერ-კავკასიაში ამ ეპიდემიურ სენებთან წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და ღონისძიებების გამოსამუშავებლად ახლო ხანში მოწვეული იქნება სანიტარულ-ეპიდემიური თათბირი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებების წარმომადგენლები.

რადიო-ექსპედიცია მყინვარწვერზე

ჩვენ გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული ცნობა, რომ ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო აწყობს რადიო-ექსპედიციას მყინვარ წვერზე.

უამინდობის გამო ექსპედიციის გასვლა თბილისიდან დღემდე ვერ მოხერხდა. თუ ამინდი გამოკეთდა, ექსპედიცია თბილისიდან გავა კვირას ან ორშაბათს.

ექსპედიციას თან მიაქვს რადიო-აპარატები მოკლე-ტალღიან გადაცემებისათვის 4500 მეტრის სიმაღლეზე — გათხელებულ ჰაერში. ასეთ გადაცემის ცდა პირველია საბჭოთა კავშირში.

ევროპაში ახლო მომავალში ეწყობა ასეთივე რადიო-ექსპედიცია დიდი სიმაღლიდან რადიო გადაცემათა მოსაწყობათ.

ექსპედიციის მარშრუტი ასეთია: ასვლა გერგეთის მონასტრიდან გერგეთის მყინვარით მყინვარის მწვერვალამდე და ღამის გათევის შემდეგ დაბრუნება დევდორაკის მყინვარით.

ექსპედიცია გზადაგზა აწარმოებს დაკვირვებებს მეტეოროლოგიურ პირობების ცვლაზე, ხოლო მყინვარ წვერზე მუდმივ დაკვირვებებისათვის დადგამს ბუდრუგუნას სხვა და სხვა მეტეოროლოგიურ მოწყობილობებით.

ექსპედიცია გასტანს 5-6 დღეს.

შემთხვევები

შ. კალანდაძის მოკვლის გარშემო

როგორც 5 ოქტომბრის ნომერში გვქონდა აღნიშნული, 4 ოქტომბერს დილომში მოკლეს ადგილობრივი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე შ. კალანდაძე.

როგორც გამოირკვა მკვლელობა მომხდარა შემდეგ პირობებში: დილომის კოოპერატივში ნოქრებათ მსახურობდენ კოლა ლახუტაშვილი და ვანო გველესიანი, რომლებიც გლეხებისათვის უხეშ მოქცევისა და არაკეთილსინდისიერ მოპყრობის გამო მოხსნილი იქნენ სამსახურიდან. ლახუტაშვილმა და გველესიანმა გაიგეს, რომ გამგეობის იმ სხდომაზე, რომელზედაც გადაწყდა მათი მოხსნის საკითხი, თავმჯდომარეობდა კალანდაძე და გადასწყვიტეს შური ეძიათ მასზე.

განზრახვის სისრულეში მოყვანამდე 4 ოქტომბერს ყოფ. ნოქრები საქეიფოდ წავიდენ ზაქუტაშვილის სამიკიტნოში. ქეიფის დროს გველესიანი აქეზებდა ლახუტაშვილს ბოლო მოეღო კალანდაძისათვის და ეკისრა მისი მოკვლა.

იმავე საღამოს 6 ს. ლახუტაშვილი თავის ძმის, მილიციელის თოფით კალანდაძეს მიუვარდა კოოპერატივის კანტორაში და მოკლა. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა სურენ კობულაშვილი. გველესიანი და ლახუტაშვილი დაპატიმრებულია. საქმის გამოძიება გრძელდება.

დაჭრა შურისძიების ნიადაგზე

ასან და ქიარიმ ასკერ-ოღლებმა შურისძიების ნიადაგზე გარდაბანში ხანჯლით დასჭრეს ალი ოღლი. იმავე პირებმა აგრეთვე მძიმედ დასჭრეს აბდულ ხადირ-ოღლი, რომელიც მიეშველა ალი ოღლის. დამნაშავენი შეპყრობილი არიან.

მკვლელობა

11 ოქტომბერს სოფ. სოღანლუღში თოფით მოკლული იქნა მახად მახმედ ოღლი. თბ. სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთა მიერ მკვლელები შეპყრობილი იქნენ იმავე დღეს. ისინი აღმოჩნდენ მამედ ასკარ-ოღლი და ახამედ ასკარ-ოღლი.

მე-2 სართულიდან გადმოვარდნა

11 ოქტომბერს დილის 6 საათზე გაბრიელ ივანეს ძე ეგნატაშვილი (მცხოვ. თამარის ქ. № 39) სიმთვრალის დროს გადმოვარდა მე-2 სართულიდან და სასიკვდილოდ დაშავდა. ეგნატაშვილი გადაიგზავნა მე-2 საავადმყოფოში.

დაჭრა

11 ოქტომბერს უცნობმა პირმა რევოლვერით დასჭრა ალექსანდრე პავლეს ძე ჯოლაძე. — ამავე დღეს ჯორჯაძის ქუჩაზე ქრისტეფორე ალაჯანოვმა დანით დასჭრა თავისი ყოფილი ცოლი მოგალოვი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

გაუპატიურების ცდა

11 ოქტომბერს ღამით შეიპყრეს სილიბისტრო დიმიტრის ძე გიორხელაძე, რომელსაც უნდოდა გაეუპატიურებია 10 წლის რახი ოსიევა (უბინაო).

ცეცხლი

11 ოქტომბერს ორბელიანის ქ. № 8 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალების საშუალებით.

შეპყრობა

შეიპყრეს მიხა და ლუკა ქოროღლიშვილები, რომლებმაც ცენტრალურ ბაზარში ივანე გიგაურს მოპარეს 4 ინდაური.

ქურდობა

11 ოქტომბერს ალექსანდრე პოლონოვის ბინიდან (კათოლიკების ქ. № 12) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ისმაილ აიჯაროვის ბინა (სუფსარქისის ქ. 55);—გაქურდეს გურგენ ტატეოსოვის ბინა (მოლდინის შესახ. № 10);—კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს „ზაკტპო"-ს მაღაზია (საბჭოს ქ. 99);—ას-ადი ბეკ-სკანდარბეკ-ოღლის ბინიდან (კობის ქ. №13) მოიპარეს 2.000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები;—გაქურდეს ვარლამ მოსიაშვილის ბინა (გუნიბის ქ. № 41);—გაქურდეს მედეა კობალიძის ბინა (ნაფარეულის ქ.)

რადიო-გადაცემა

დღეს, 13 ოქტომბერს, თბილისის ოთხკილოვატიან რად. ტალღაზე გადაცემულ იქნება მორზეს ანბანის ახსნა-განმარტება (ქართულ ენაზე), რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე), გლეხური რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე), მოხსენება „კოოპერაცია და საბჭოების გადარჩევა" (ქართულ ენაზე), საუბარი „პროფილაქტორიუმის მნიშვნელობა პროსტიტუციასთან ბრძოლის დროს" (ქართულ ენაზე), მუსიკალური ანტრაქტი. მოხსენება „ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-5 კონგრესის შედეგები" (რუსულ ენაზე), რადიო-გაზეთი (რუსულ ენაზე), გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი ან ტრანსლაცია.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე—ანეტა, შვილები: ლუბა (ჯ.) ... და კიკა. დები: მართა და მენიკო, ძმა ნოე, რძალი ბაბინე ჩიჩუები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

თეოფილე ბექანის ძე ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას 14 ოქტომბერს 1-ლ საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 4479

ქ. ხაშურის საბჭო იუწყება, რომ 10 ოქტომბერს ხაშურში ტრაგიკულად გარდაიცვალა საბჭოს და სექციის აქტიური წევრი

ამხ. იოსებ პეტრეს ძე ლომიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 14 ოქტომბერს 2 საათ. ძმათა სასაფლაოზე. 4501

ს. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი რევოლიუციონერის ბოლშევიკური პარტიის წევრის და რაიკომის წევრის

ამხ. იოსებ პეტრეს ძე ლომიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხაშურში კვირას, 14 ოქტომბერს 2 საათზე ძმათა სასაფლაოზე. 4503

ს. კ. პ. (ბ) ხაშურის დეპოს საშუალო შეკეთების ცენ-უჯრედის წევრები მწუხარებით იუწყებიან, რომ 10 ოქტომბერს ქ. ხაშურში ტრაგიკულად გარდაიცვალა უჯრედის აქტიური წევრი

ამხ. იოსებ პეტრეს ძე ლომიძე

4500

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამი (ფუცუ) კონსტანტინეს ასული, ძმა ტარიელი რძალი ელენე და ძმისწული თინიკო ხოშტარიები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

შურას

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას 14 ოქტომბერს 1-ლ საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 4496

ღრმად დამწუხრებული მშობლები მატრონე და ლუარსაბი, დები და ძმები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ცაცა ლუარსაბის ასული ფუტურიძე

გამოსვენება კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე ფედოსიევის ქუჩა 27. 4506

სამუდამოდ გულმოკლული მშობლები: ლისა და ნიკოლოზ, დები: ეკატერინე, თამარა, ძმები: პავლე, შოშია, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 14 ოქტომბერს ჩიბათში 1 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

იროდიონ ნიკოლოზის ძე სურგულაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 4509

დამწუხრებული შვილი ლავრენტი (კაკო) ღოღელიანი, რძალი გოგორი, შვილიშვილები: დალიკო, ფაცურა, გუგულა, პატიკო ქალიშვილები მეუღლეებით: კატო და ანტონ ცხვედიანები, აგრაფენა და ამბროსი ჩაჩხიანები შვილებით, გალინა და კოწო გაჩეჩილაძეები აუწყებენ ნათესავებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი

ნინო მამუკას ასული ღოღელიანისა

დაკრძალვა შაბათს 13 ოქტომბერს პრებალოში. 4494

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო ლასეს ასული, შვილები ოლღა და რამანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს დაუვიწყარი

სოლომონ დავითის ძე თუხარელის

გარდაცვალებას დაკრძალვა 14 ოქტომბერს დღის 11 საათზე, გამოსვენება სამების შესახვევი № 5 4511

მუდამ მწუხარებაში მყოფნი: დედა ფადიმე, და სარრა, ძმები სევერიანე, ვლადიმერ და აპოლონი ოჯახებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაცვალებულ

აკაკი პავლეს ძე ურუშაძის

ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ლანჩხუთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი—კვირას, 14 ოქტომბერს, დილის 11 საათზე. 4510

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტის სტუდენტები: ა. კანტურაია, ე. ქირია, ირ. კვიჟაძე, ი. დარჩიაშვილი, ვ. ფარცხალაძე, ა. კუპრეიშვილი, ბ. ბალავაძე, მ. ბოჭორიშვილი, ლ. ვაშაკიძე, ა. ნუცუბიძე და ელ. სტურუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ ამხანაგის—მათემატიკურ დარგის მე-2-რე კურსის სტუდენტ

იასონ ნესტორის ძე გრიგოლიას

გარდაცვალებას გამოსვენება 13 ოქტომბ. 1 საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან დაკრძალვა საჯილაოში (სამეგრელოში) 4498

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სარა, შვილი ლუბა, დედა ქეთევანი, დები და ძმები აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას, 14 ოქტომბერს, დილის 1 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

გიორგი რომანოზის ძე ბაკურაძეს

ხსოვნის აღსანიშნავად 4518

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სოფიო მალხაზის ასული, და ნინო გიორგის ასული, ბიძაშვილები: გალინა, დომინიკა და აკაკი ბაქრაძეები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ა. წ. 12 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ლიუბა გიორგის ასული ბაქრაძე

გამოსვენება ქალ. 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) კვირას, 12 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე—საკუთარ ბინაზე—პლეხანოვის პროსპ. № 118, დაკრძალვა სამშაბათს, 16 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე. (უ)

ორშაბათიდან, 15 ოქტომბრიდან
კინო-თეატრებში
პალასი-სოლეი-არფასტო
განსაკუთრებული ფილმი დადგმის და სიუჟეტის მხრივ
„ზღვის ტყვეები"
მონაწილეობენ:
შტრაუხი—წყალქვეშა ნავის № 12-ის უფროსის როლში.
ლევ კუტუზოვი,
კნიპერ-ჩეხოვა.
ნ. 1697

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეცტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9-წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე. 6—1 4515

ექიმი
ანასტასი ლევის ძე ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოსთან არსებულ ყველა შრომის კოლექტივების
საყურადღებოდ ცხადდება
რომ კოლექტივს
„უტილიზატორ"-ს
აქვს ტვირთის გადასაზიდი საშუალებანი და სხვადასხვა სახის ტვირთის გადატან-გადმოტანისათვის უნდა მიმართონ უშუალოდ
კოლექტივს უტილიზატორს, და არა კერძო გადასაზიდ საშუალებათა პატრონებს. გარდა ამისა, კოლექტივი „უტილიზატორი" კისრულობს ყოველგვარ საამშენებლო წყალსადენის, საკანალიზაციო და საშეიკლო მუშაობას, ელექტრო-სამონტაჟო და სხვა საქმეებს.
0—5 ნ. 1649 გამგეობა

ბანთიადი	მხატვრული სურათი უცხოეთის ნაწარმოები	ლურჯი სისხლი
აპოლო	ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავისათვის	
სოლეი	ყაზახები	რეჟისორი—ვ. ბარსკი ოპერატორი ფ. ვეგელე
მინიონი	სურათშია სანდრო ინაშვილი, მ. ჩერკასკაია, ა. შირაი,	
არფასტო	მხატვრული სურათი უცხოეთის ნაწარმოები	მოჯადოებული კუნძული
პალასი	ბეტი ბალფური ორიგინალურ კომედიაში	მოსამსახურე ყველაფრისათვის
დარბაზი	სასიკვდილო ნახტომი	სპორტსმენ ტრიუკისტის ა. ბოკოლინის მონაწილეობით.
კროლ-ტარი ავლაბარი	უნერვო კაცი	

საქციო საზოგადოების
„რუდმეტალტორგ"-ის
ამიერ-კავკასიის საოლქო კონტორა
თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 77,
რომელსაც მუდმივი კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის ყველა სამრეწველო წარმოებასთან და სასარეწაო კოოპერაციასთან და რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადებით, კისრულობს წარმოებების ყველა იმ ქონების რეალიზაციას, რომლის ლიკვიდაციაც არ შეიძლება და, რომელიც წარმოებებს არ სჭირდებათ (დაზგები, მანქანები და სხვ. მოწყობილობა), აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობის ისეთი მასალის რეალიზაციას, რომელიც არ საღდება ან მისთვის ზედმეტია.
რეალიზაციის პირობები შეკითხვისთანავე.
ნ. 1696

ალმასკომის აგურის ქარხნების სამმართველო
აცხადებს, რომ სამმართველოს შენობაში (ვაკე, უნივერსიტეტის ქ. № 36, ტელ. № 6—55) შესდგება წერილობითი შეჯიბრება:
1) ა. წ. 22 ოქტომბერს, ორშაბათს დილის 10 საათზე 2.000 კბ. მეტრი. ქვიშის მოწოდებაზე ღირებულებით 8.000 მანეთამდე ვაკეს ქარ. აგურის დასაყალიბებლათ.
2) 23 ოქტომბერს, სამშაბათს, დილის 10 საათზე გადასაზიდ 10 მილიონამდე აგურის ყველა ქარხნებიდან ქალაქში და რკინის გზის სადგურზე, აგრეთვე 5.000 ტონამდე ქვანახშირის ფხვნილის გადაზიდვაზე სად. თბილისიდან და ნავთლუღიდან ყველა ქარხნებში: ვაკეში, ღრმა-ღელეში და ავლაბარში.
დაწვრილებითი ტექნიკური პირობების მიღება შეიძლება სამმართველოს კანცელარიაში, იქვე მიიღება დაბეჭდილი პაკეტები.
4499 აგურ. ქარ. სამ. გამგე ჯაფარიძე,

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 18 ოქტომბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 146 ელისაბედის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სუსანა არარატოვას (მეზუროვის ბინაში) მოძრავ ქონებას: დივნებს, კედლის სარკეს, კედლის საათებს, საკერავ მანქანას და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 599 მანეთად, უვაროვას, კისილოვას, მეზუროვას და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 მაისის 1928 წ. თარიღით, № 1984 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4517

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 17 ოქტომბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 28 უნივერსიტეტის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. არკადი მიცკევიჩის მოძრავ ქონებას: ცხენებს, ძროხებს, ღორებს, ფურგუნებს და სხვ შეფასებულს 1160 მანეთად, სანტრანსპორტო კავშირის და მოქ. კუდინოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. პირველი უბნის და შრომის სახალხო სასამართლოსაგან 18 თებერვალს და 14 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1342 და 1685 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. 4516

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო
მოსკოვისა და ლენინგრადის მაგალითების მიხედვით
იწყებს გიპსის ფარების გავრცელების კამპანიის ჩატარებას
ფარებზე გამოხატულია თავდაცვის ემბლემა წარწერით: „ვაძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას".
ემბლემა დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ, ფარები უნდა გამოიკრას სახლების, ფაბრიკების, ქარხნების, კლუბების და დაწესებულებების ფასადზე, წითელ კუთხეებში და სადგომების შიგნით. ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე ყველა სახლი (ფასადი) უნდა მოირთოს ამ ფარებით, რომელიც გამოდის მხატვრულად შესრულებული 4 ზომისა, შენობების ზომის მიხედვით,
ყოველნაირი ცნობებისთვის მიმართეთ ფარის გამავრცელებელ კანტორას:
რუსთაველის პროსპ., ქალაქის კომენდანტის სამმართველოს შენობა.
თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო, საქართველოს საბინაო კავშირი.
ნ. 1695

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 1839 მიღებული გორის მაზრის მილიციისაგან და სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 610 გაცემული გორის მაზრის სამხედრო მაგიდიდან პლატონ იესეს-ძე ბერიძეს სახელზე, ჩ. გ. 4493

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 23108 გაცემული საბჭ. და სავაჭროთა მუშაკების პ/კავშირის მიერ ირაკლი ავალიანის სახელზე, ჩ. გ. 4504

დაიკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი № 31063 გაცემული სიღნაღის სამაზრო გამგეობიდან მიხეილ ლაკრენტის-ძე ბოკერიას სახელზე, ჩ. გ. 4507

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4 აბიბო ბესარიონის-ძე ბუცხრიკიძის სახელზე, ჩ. გ. 4495

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 237, გაცემული რკინის გზის სამმართველოსაგან ეფროსინა ძნელაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1698

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 055451 და პირადობის მოწმობა ხარიტონ ლებონიძის სახელზე, ჩ. გ. 4513

დაიკარგა მიწა ტყის კავშირის წიგნაკი № 38031, სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 219, კავთისხევის კოოპერატივის წიგნაკი № 318 გაბრიელ გრიგორის-ძე ცალქალამიძეს სახელზე, ჩ. გ. 4512

დაიკარგა: სამხ. სააღრიცხვო წიგნაკი ილიკო ცხომელიძეს სახელზე, ჩ. გ. 4512

დაიკარგა: მეტრიკული მოწმობა ალექსანდრე სერგოს-ძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-ნ სტამბა, ცამ ის ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.